140/
1959/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი 12
1959



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უშბა

ბრწყინავს მთათა გრეხილი,
ქარი ღრუბლებს გადაყრის,
და სხივებში ეხვევა
უშბა, უშბა ამაყი.

წარბუხრელი პატალო,
მკერდს რომ ნისლი ებურეის,
დგას სვანეთის ტიტანად
გრიგალებთან შებმული.

დოლრას გააქვს გრიალი,
დაფარფატებს ფანტელი,
და მდინარეს, მხიარულს,
ბანს აძლევენ ფლატენი:

— შენს მწვერვალებს, მარადისს,
სულ დიდებას ვუმღერი,
მაგრამ კაცმა დაგადგა '
ქედზე ძლევის უღელი.

უშბავ, წუხდი ეგება,
ეგებ სევდაც იგრძენი,
ყიჟინით რომ შეგებნენ
და-ძმა ჯაფარიძენი.

ვართ არწივის მართვენი,.
გვაქვს გულები ელვარე,
ზევით მივემართებით,
ვიპყრობთ მაღალ მწვერვალებს.

გვაქვს დიადი მიზნები,
წინ გაგვშლია სივრცენი,
კიდევ ბევრი ვიზრდებით
და-ძმა ჯაფარიძენი!

ჰეი, კარგო ბავშვებო,
ჰეი, ცელქო ბალღებო,
ჩვენს დახატულ სამშობლოს
უშბიდანაც დავხედოთ!

**ნაზი კილასონია**

ფოტო დ. იაკობაშვილისა

# პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნორჩ
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო
ჟურნალი

12

დეკემბერი
1959

გამოცემის წელი
XXXIII

4494

## შინაარსი



გვ.

**ნ. კილასონია**—უშბა (ლექსი) . . . გარეკ. . . . 2
**ი. სიხარულიძე**—დგება წელი მესამოცე (ლექსი) . 2
**მ. ფოცხიშვილი**—საახალწლო (ლექსი) . . . . . 2
**ს. იორამაშვილი**—ეჟვანა მამალი (მოთხრობა) . . 3
**ს. შამფრიანი**—მეშვიდესკოლელი პიონერები (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . . . . 8
**ფ. ზალტენი**—ბემბი (ტყის ზღაპარი, თარგმნა გ. გვერდწითელმა) . . . . . . . . . 11
**თ. სახაროვი**—მომავალი კერამიკოსები (ნარკვევი) 15
ქართული თქმულებები (ჩაწერა ნ. იმერლიშვილმა) . . . . . . . . . . . . . . 18
იცი თუ არა შენ? . . . . . . . . . . . . 19
**რ. ჩხეიძე**—პიონერ-ფილმი (წერილი) . . . . . . 20
ტექნიკის სამყაროში . . . . . . . . . . 23
**კ. გოგიაშვილი**—თოვლის პაპა (პიესა) . . . . . 24
პიონერული ამბები საზღვარგარეთიდან . . . . . . . . . . . . . . . 25
**ი. გრიშაშვილი**—საქართველოს მეჩაიე გოგონებს (ლექსი) . . . . . . . . . . . . . . . 26
რატომ ვამბობთ ასე? . . . . . . . . . 26
**გ. ჭელიძე**—ზემოსაზანოელი მეგობრები (ნარკვევი) 27
ბუნების კარი . . . . . . . . . . . . . 28
საინტერესო თემაზე . . . . . . . . . . 29
**ზ. ლეშკაშელი**—სასწაულები უსასწაულოდ (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . . 30
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . 31
უცხოური იუმორი . . . . . . . . . . . 32
თავისუფალ დროს . . . . . გარეკ. . . . 3
ახალი წიგნები . . . . . . . გარეკ. . . . 3







გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის **თ. სამსონაძეს**,
ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **დ. ხახუტაშვილის, თ. სამსონაძის, გ. ნიკოლსკის, დ. ზარაფიშვილისა** და **გ. როინიშვილის** მიერ.



რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,
რ. ელანწიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი),
მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი
(სამხატვრო რედაქტორი).

საბლიტგამი

# დგება წელი მესამოცე

შრომით, გარჯით, მიღწევებით
უკვე განვვლეთ წელი ძველი.
განა ხელი მოგვეცარა?
განა რამე ვერ შევძელით?!

ცის სიღრმეში წრეს უვლიან
ფრთაშესხმული რაკეტები,
საბჭოეთის დიდ მიწაზე
ჩვენი ხელით ნაკეთები.

მოვიარეთ მთლად ქვეყანა
ხალხთა გულის გასახარად,
ჩვენი აზრით, ჩვენი საქმით
სად არ ვჩანდით მთად და ბარად.

თქვენც, პატარა მეგობრებო
გმირობისთვის გული გიცემთ,
წინ უსაზღვროთ გადაგშლიათ
ცოდნისა და წინსვლის სივრცე.

ო, მაგ ლამაზ გატაცებას
განა რამე შეანელებს?
რა წაართმევს შნოს და იერს
ჩვენს მომხიბლავ მთებს და ველებს?

და მთა-ბარიც საახალწლოდ
გადაიცვამს თეთრ სამოსელს.
ჩვენი დიდი საუკუნის
დგება წელი მესამოცე!

**ილია სიხარულიძე**

# საახალწლო

ახალო წელო, ფიფქივით მშვიდო,
არა სტუმარო, არამედ მკვიდრო,
ყველამ გაგიღო კარები ლხენით,
ყველა გული და სიმღერა გელის —
კეთილი იყოს შეხვედრა ჩვენი!

ახალო წელო, მშვიდობით გხვდებით,
ახალო წელო, სიმღერით გხვდებით—
კაცთა ოცნებამ შეისხა ფრთები,
კოსმოსში გაგვყავს ცისფერი გზები...

ყინულმჭრელები ყინულებს სჭრიან,
თანამგზავრები სერავენ სივრცეს.
მომავალ დღეთა კვირტები გვქვია,
ვართ ჭაბუკნი და დავდივართ მტკიცედ.

მომავალ დღეთა კვირტები გვქვია,
ვარდ-ყვავილებად ვიშლებით, ვხარობთ,
მშვიდობა ჩვენთვის ცხრათვალა მზეა,
ერთობა — ამ მზის ანკარა წყარო.

ახალო წელო, ფიფქივით მშვიდო,
არა სტუმარო, არამედ მკვიდრო,
ერთი გვაქვს გზა და სავალი ლხენით,
ერთად გავლიოთ დიდების დღენი,
კეთილი იყოს მგზავრობა ჩვენი!

**მორის ფოცხიშვილი**





სოსო იორამაშვილი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

# ვაჟიანი დედალი

ერთ ზაფხულს ძალუა მაგდანამ, იმის გამო, რომ მისი ბოჩოლა ჩვენ დაგვყავდა საბალახოდ, ერთი კრუხი თავისი მოჩიტული თექვსმეტი წიწილით ჭალაში გაუშვა და ბიჭებს გვითხრა:

— აი, ჩემო შავარდნებო! ეს წიწილები თქვენთვის მიჩუქნია, მოუარეთ და უპატრონეთ. აქედან კრუხის მეტს არც ერთ წიწილას არ წავიყვან და როგორც გინდოდეთ, ისე მოიხმარეთ.

გაგვეხარდა. ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ არცერთი წიწილისათვის ხელი არ გვეხლო, მანამ კარგად არ დაიზრდებოდნენ.

გადავწყვიტეთ, სასკოლო ფერმას გავეჯიბრებოდით და შემოდგომაზე ჩვენი ნაშენობით ტოლი არ დაგვედო.

ამ ამბავმა ისე გაგვიტაცა მე და ჩემი მეგობრები — პეტო და, გიგა, რომ ათიოდე სხვა წიწილიც „ვიშოვნეთ“ ჩვენ-ჩვენ სახლებში და ძალუა მაგდანას კრუხწიწილას მივუმატეთ.

კრუხი თვალებდაცეცებული დაკრიახობდა ჭალაში და ყოველ ძერის გადაფრენაზე, ან ყვავისა თუ კაჭკაჭის ჩხავილზე, დაუკრუტუნებდა თავის პატარებს და ზედ ფრთებით გადაეფარებოდა ხოლმე. პირველ ხანებში ახლადმოყვანილ წიწილებს კრუხი მტრულად შეხვდა, მაგრამ რაკი მისი პატარები ახალმოსულებით დიდად არ შეწუხებულან, იმანაც შეიკედლა ისინი და დედობას უწევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჭალაში ბუზ-პეპელა და ჭია მრავლად მოიპოვებოდა, ჩვენ მაინც საგანგებოდ მიგვქონდა ჯიბეებით ზოგს ფეტვი, ზოგს ხორბალი და საკენკად ვუყრიდით. ასეთი ხელის შეწყობით სულ მოკლე ხანში ისე დათამამდნენ წიწილები, რომ დაბლა ჩამოშვებულ ტოტებზე და პატარა დგნალებზე თავისუფლად დაფრინავდნენ.

გარდა ამისა, ლაღ ბუნებაში წიწილები ისე გაველურდნენ, რომ, დაინახავდნენ თუ არა რაიმე საფრთხეს, ერთს დაიფრთხიალებდნენ და იმ წუთში ეკალბარდებში შეცვივდებოდნენ ხოლმე დასამალად.

სანამ წიწილები პატარები იყვნენ, კრუხი ერთ გაუვალ ქაცვის ბარდში იბუდებდა. მაგრამ შემდეგ, როცა წამოიზარდნენ და ველარ ეტეოდნენ მის ფრთებქვეშ, ადვილად ასასვლელ წახრილ ვერხვზე გადაბარგდნენ. ვერხვს ერთი განზე გაშვებული ძირა ტოტი ჰქონდა, მიწიდან სამიოდე მეტრის სიმაღლეზე. სწორედ იმ ტოტზე ჩამომწკრივდებოდნენ ხოლმე და დილამდე სთვლემდნენ ბუნებრივ ქანდარაზე.

ერთხელ ბიძაჩემი ამოვიდა თბილისიდან სანადიროდ და თან თავისი მეძებარი ძაღლი ამოიყვანა, რომელსაც თურმე შინაური ფრინველი თვალითაც არ ენახა.

მინდორში ნადირობით რომ დაიღალა ბიძაჩემი, დასასვენებლად ჭალაში გაგვიყვანა. დაღლილ-დახიცხული ძაღლიც, სანამ დაისვენებდა, წყაროს არ მოსცილებია და იქვე გაიშხლართა. შემდეგ კი, როცა დაისვენა, ჭალაში დაიწყო სუნსული. ჩვენ მისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. ვუსხედით ბიძაჩემს გვერდით, ვათვალიერებდით მის ორლულიან თოფს, ჩვენს კომბლებსა და შურდულებს ვადარებდით და ვოცნებობდით, როდის გავიზრდებოდით დიდები, რომ ჩვენც ისეთი თოფები გვქონოდა.

ასეთ ფიქრებში რომ ვიყავით, უცბად, დამფრთხალი ქათმების კრიახი შემოგვესმა. დაფეთებული ვარიები დაბალ ბუჩქებზე შეფრენილიყვნენ და შეშინებულები იქიდან იცქირებოდნენ ძირს. ბუჩქების სიღრმიდან კი კრუხის გააფთრებული კრიახი და შეჭირვებული ვარიის კრუტუნი მოგვესმა. ყველანი იქით გავიქეცით. ბიძაჩემის მეძებარს პირით ჩაებღუჯნა ფოლადისფერი ყვინჩილა და პატრონისაკენ მოჰქონდა. გაშმაგებული კრუხი თავგანწირვით უტევდა ძაღლს, ცდილობდა შვილი გაენთავისუფლებია მისი კბილებისაგან.

აღშფოთებულმა ბიძაჩემმა ძაღლს შეუყვირა და კაი-კაი მათრახებიც მოსცხო გვერდებში, ხოლო გაკვირვებულმა ძაღლმა წკმუტუნი მორთო და ადგილიდან არ დაძრულა. ალბათ უკვირდა პირუტყვს — აქამდე ასეთი მოქმედებისათვის გემრიელი საჭმელით და-



პაპა წყალობამ გულდასმით მოგვისმინა.

უჯილდოვებია პატრონს, ახლა კი ვერ გაეგო, რატომა სცემდნენ.

— ამ საძაგელს გარეული ეგონა ალბათ, და ამიტომ დაიჭირაო. — გაგვიმარტა გამოუცდელი ძაღლის შეცდომა ბიძაჩემმა და დაკბენილ მამლაყინწას დასწვდა, რომელიც მის ფეხებთან ეგდო და სასიკვდილოდ ლაფავდა სულს.

როდესაც ბიძამ გაიგო, რომ ვარიები პირადად ჩვენ — ბიჭებს გვეკუთვნოდა, ნაწილობრივ დამშვიდდა, რომ სხვა აღარავინ აულაპარაკდებოდა, და შეგვპირდა, ამის ნაცვლად თბილისიდან ერთ კარგ ბურთს გამოგიგზავნითო. მერე გვირჩია: ახლა ეს ყვინჩილა დაჭკალით, შესწვით და შეჭამეთო.

რა თქმა უნდა, ბურთი ძალიან გაგვეხარდა, მაგრამ მეორე რჩევა ისე ხალისიანად ველარ მივიღეთ. ჩვენი გაზრდილი მამლაყინწა დასაკლავად არ გვემეტებოდა. პეტოს თვალებიც კი მოუწყლიანდა და ბრაზით გადახედა მეძებარს. ხოლო როცა ბიძაჩემი ისევ სანადიროდ წავიდა, პეტომ მე და გიგას გვირჩია, ჩვენი ყვინჩილა ჭალაში დავასაფლავოთო, რაზედაც გიგამ სიცილი დააყარა:

— დავასაფლაოთ არა, ბიჭო და, ძეგლის დადგმაც არ მომთხოვოო.

შემდეგ გიგამ სასწრაფოდ გაბტყვნა ყვინჩილა, შამფურზე წამოაგო, მარილი დააყარა, ნაკვერჩხლის ცეცხლზე შესწვა და ორივენი გემრიელად შევექეცით.

პეტოს კი გემოთაც არ უნახავს.

* * *

უცნაური ის იყო, რომ ოცდაექვს წიწილში მხოლოდ სამი გამოერია მამალი. ამიტომ სამივეს საკუთარი სახელი დავარქვით: ორს, რომლებიც ფოლადისფერი ბუმბულით იყვნენ შემოსილი — „ფოლადისა“ და „ქორისა“ ვუწოდეთ. ერთი მათგანი — ფოლადისა უკვე დაიღუპა. დარჩა მხოლოდ ქორისა, და მესამეც — მოყვითალო-თეთრი წინწკლებით შეფერილი მამლაყინწა, რომელსაც „ეჟვანა“ დავარქვით.

გავიდა. ზაფხული. დადგა შემოდგომა. ხალხი ნელნელა შეუდგა მოსავლის დაბინავებას. ვენახები თანდათან ცარიელდებოდნენ. ჩვენი ქათმები დაიზარდნენ და ისევ ჭალაში დანავარდობდნენ. ღამეც იმავე თავიანთ ქანდარაზე იძინებდნენ.

ერთ დღეს, როდესაც ჩვეულებრივად ქათმები გადავთვალეთ, ერთი ცალი აკლდა. ამან ძალიან შეგვაშფოთა და ძებნა დავუწყეთ, მაგრამ ვერსად ვერ აღმოვაჩინეთ. მერე ვიფიქრეთ, იქნებ სადმე ჩირგვებში არის მიმალული და საღამოზე თავის ქანდარას მონახავსო. მაგრამ იმედი არ გაგვიმართლდა. პირიქით, ჩვენი შეშფოთება მაშინ უფრო გაორკეცდა, როცა მეორე დღეს ერთი ქათამი კიდევ დაგვაკლდა; ასე განმეორდა მესამე, მეოთხე დღესაც.

ხან ვფიქრობდით, ტოლ-ამხანაგები თუ გვეხუმრებიან და ისინი გვპარავენო. ვისზედაც ეჭვი გვქონდა, კიდეც მოვინახულეთ, მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ მათ ნამდვილად არაფერი არ იცოდნენ ჩვენი დაკარგული ქათმების შესახებ.

ახლა ხომ სულ მთლად დავიბენით. გადავწყვიტეთ დავდარაჯებოდით ღამით და ქურდი დაგვეჭირა. სამიოთხი ღამე ასეც მოვიქეცით. მართალია, ქათმები აღარ დაკარგულან, მაგრამ ვერც ვერავინ აღმოვაჩინეთ. ჩვენ კი ქურდის დაჭერა გვინდოდა. ხოლო, რაკი ამას ვერ მივაღწიეთ, მერე გიგას პაპას — წყალობას გავუზიარეთ ჩვენი გასაჭირი.

პაპა წყალობამ გულდასმით მოგვისმინა, ჭაღარა წვერი მარცხენა ხელის ზურგით მოიფხანა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე თავისებურად, დინჯად წამოიწყო:

— ეგრე, შვილო, როგორც თქვენ გიყარაულნიათ, რომელ ქურდებს დაიჭერთ? ცეცხლი დაგინთიათ და თურმე იმის გარშემო ლაზღანდარობდით. აბა რომელი სულელი მოვიდოდა იმ დროს? თუ მართლა ქურდების დაჭერა გინდათ, ცეცხლის დანთება კი არა, ძეხორციელმა არავინ არ უნდა დაგინახოთ, ისე უნდა მიხვიდეთ ადგილზე და საფარიდან უყარაულოთ ქათმებს. კრინტი ხმა არ უნდა გაიღოთ.

პაპა წყალობას დარიგება მოვისმინეთ და მართლაც იმ საღამოსვე ტუსტუსით შევიპარეთ ჭალაში. ისე უხმაუროდ ავცოცდით თელაზე, რომ ჩვენმა ქათმებმაც ვერ გაგვიგეს და, უწინ რომ ჩვენს დანახვაზე კრიახს მორთავდნენ ხოლმე, მაშინ კრინტიც არ დაუძრავთ. ჩვენ კი ისე მოხერხებულად მოვთავსდით თელაზე, რომ იქ ძილიც კი შეიძლებოდა, მაგრამ რა დაგვაძინებდა?

როგორც პაპა წყალობამ დაგვარიგა, ადრევე დათქმული გვქონდა, რომ ყარაულობის დროს მთლად უნდა დავმუნჯებულიყავით და ერთმანეთისათვის ხმა არ გაგვეცა. ეს, რა თქმა უნდა, სათქმელად იყო ადვილი, მაგრამ შესასრულებლად ძნელი გამოდგა. სამი ერთმანეთთან შეზრდილი და შეყბედებული ამხანაგი ვისხედით ერთ ხეზე, ერთმანეთის გვერდით და იძულებული ვიყავით კრიჭაშეკრულები ვმსხდარიყავით. ამის გამო ისე აუტანლად გრძელი გვეჩვენა ღამე, რომ გვეგონა, აღარასდროს გათენდებოდა, ქურდი კი არა და არ ჩანდა.

განთიადმა რომ მოატანა, მე მაინც ველარ შევიკავე

თავი და, ის იყო, ოდნავ წამთვლიმა, რომ უცებ, ჯოხის ჩხვლეტა ვიგრძენი გიგას მხრიდან ფერდში და გამომეღვიძა. თვალი რომ გავახილე, იმ წამსვე ქათმების ქანდარას შევხედე და უცნაური რამ დავინახე:

ქანდარის ქვეშ, მიწაზე, თითქოს რაღაც თეთრმა ლანდმა გაიელვა. მერე დატრიალდა ეს ლანდი და წრეების კეთება დაიწყო. ამ უცნაური სანახაობით გაკვირვებულ ქათმებს კისრები ძირს ჩამოეგრძელებიათ და გაშტერებულები უყურებდნენ. თან ცდილობდნენ უფრო დაბლა ჩაეწიათ თავები და უფრო უკეთესად დაენახათ თუ რა ხდებოდა იმათი ქანდარის ქვეშ. სწორედ ამ დროს ორი მათგანი ქანდარიდან ძირს ჩამოცვივდა, ალბათ წონასწორობა დაჰკარგეს.

ჩვენ ამ ხნის განმავლობაში გაშტერებულები ვიყავით და ვერ მიმხვდარიყავით, თუ რა ხდებოდა ქანდარასთან. იმ ლანდმა უცბად შეაჩერა წრეების კეთება, ერთ-ერთ ქათამს ეცა, კრიახი აატეხინა და კატაფშატას ჩირგვებისაკენ მოჰკურცხლა.

— ჰა, ჰა! მელაი, ბიჭებო, მელაი!—ატეხა ყვირილი პეტომ და მალე ჩვენც ხმები მივაშველეთ, მაგრამ ვერც მელა შევაჩერეთ და ვერც ქათამს ვუშველეთ რამე.

— აი, თურმე, ვინა გვპარავდა ქათმებს, ჩვენ კი მთელი სოფლის ბიჭები ქურდებად მოვნათლეთ,—იძახდა გიგა.

რაღას ვიზამდით? ჩამოვედით თელიდან და სანამ ინათლებდა, ცეცხლი დავანთეთ, რადგან განთიადზე მაგარი ნამი გააგდო და სიცივემ აგვიტანა.

* * *

პაპა წყალობას რომ ვუამბეთ, თუ რა ოინებს აკეთებდა მელა ქათმების მოსატყუებლად, ბევრი იცინა, თან უკბილო პირის ჩიფჩიფით იძახდა:

— დახე, დახე! იმ ეშმაკს რეები ჩაუდენიაო,—და ისევ ჩაკუჭკუჭდებოდა მოხუცი. მერე გვითხრა.

— შვილო! იმ შეჩვენებულს აბა თქვენ რა უნდა დააკლოთ? მაგის ოინები საქვეყნოდ არის ცნობილი. ისევ მეთოფური უნდა ნახოთ ვინმე, თორემ ამ ქათმებს სულ დაგიჭამთ. ანდა, ამოიყვანეთ ქათმები სოფელში და ი ცარიელი ქანდარის ქვეშ იმდენი იზუქნაოს მელამ, მანამ მოეწყინებოდეს.

რა თქმა უნდა, ქათმები რომ სასკოლო ფერმაში წამოგვეყვანა, ამით ყარაულობასაც მოვრჩებოდით და საზრუნავიც აღარაფერი გვექნებოდა, მაგრამ ის დაკარგული ოთხი ქათამი ვერ გვეპატიებინა მელიისათვის და ჯავრის ამოყრა გვინდოდა. ამ ჯავრის ამოყრაში კი ჩვენს მათემატიკის მასწავლებელს—ნიკოს შეეძლო დიდად დაგვხმარებოდა. მას ორლულიანი თოფი ჰქონდა და კარგი მონადირეც იყო.

იმ დღესვე ნიკო მასწავლებელს ვუამბეთ, რა ოინებიც გვიყო მელამ და ვთხოვეთ წამოგვყოლოდა და ღამე ჩვენთან ერთად ჩასაფრებოდა თოფით.



ქანდარის ქვეშ, მიწაზე, თითქოს რაღაც თეთრმა ლანდმა გაიელვა.

მასწავლებელს ჩვენს წინადადებაზე გაეღიმა, ამბავი ყურადღებით მოგვისმინა და გაკვეთილების შემდეგ ჭალაში წაგვიყვანა. დაათვალიერა ადგილობრივ ის ვერხვი, რომელზედაც ქათმები იბუდებდნენ, ის თელა, რომელზედაც ჩვენ ვიყავით ჩასაფრებულნი. მერე ის ადგილები დაზვერა, საითაც მელამ ქათამი წაიღო. იქ, ჩირგვებში, ქათმის ბუმბულები ვნახეთ, მაგრამ მასწავლებელმა თქვა, ეტყობა ქათამი აქ არ შეუჭამია, სხვაგან წაუღია, მოსვლით კი ისევ ამ გზით მოვაო. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ყმაწვილებო! მე იმ მელას უთქვენოდაც გავუსწორდები. თქვენ შეიძლება ხელიც შემიშალოთ და. ჯობს, ამაღამ სახლებში დაიძინოთ.

ამის შემდეგ რაღა დაგვრჩენოდა, რომ მასწავლებლისათვის არ დაგვეჯერებინა.

მართლაც, იმ ღამეს ბიჭებმა სახლებში დავიძინეთ და მეორე დღეს დილაადრიან მივადექით შინ მასწავლებელს, რომელსაც მთელი ღამე ეყარაულნა, მაგრამ მელა აღარ მისულიყო.

ჩვენს ნათქვამში რომ არ დაეჭვებულიყო, სამივენი გამწარებული ვეფიცებოდით, რომ ნამდვილად ისე ვნახეთ, როგორც ვუამბეთ, მაგრამ მასწავლებელს ჩვენს ნაამბობში ოდნავი ეჭვი არ შეუტანია.

— არა უშავს რა, ყმაწვილებო! წუხელის რომ არ მოვიდა, არც გამკვირვებია. ასეც ვიცოდი! იგი ხომ თქვენს მიერ ახალი დამფრთხალი იყო. მე მგონი, ამის გამო შეიკავა თავი. ამაღამ კი აუცილებლად გაახსენდება ქათმის ხორცის გემო და უსათუოდ მოვა. ვიცი მაგათი ხასიათი.

მასწავლებლის მოსაზრება მართალი გამოდგა: მეორე ღამემდე ველარ გაეძლო ქათმებზე გაწუწკებულ მელას და იმ ღამესვე სწვეოდა ქანდარას, მაგრამ ქათმის ნაცვლად ცხელი ტყვია მიიღო.

დილით რომ გავიღვიძე და ჭალაში წასვლას ვაპირებდი, უკვე მთელ ჩვენს უბანს გაეგო — ნიკო მასწავლებელმა ჭალაში ქათმებს შეჩვეული მელა მოკლაო! იმ დღეს სკოლაში სულ იმ მელიის შესახებ იყო ლაპარაკი.

* * *

ასე მოვაშორეთ ჩვენს ქათმებს დაუძინებელი მტერი, მაგრამ იმათი იქ მეტ ხანს დატოვება უკვე აღარ შეიძლებოდა. ვენახები და ხილის ბაღები მოიკრიფა, კაკლები დაიბერტყა. ბოსტნეულიდანაც მხოლოდ კომბოსტოღა დარჩა აუღებელი, დანარჩენი კი სულ სახლში შემოზიდა ხალხმა.

მოვილაპარაკეთ, სასკოლო ფერმაში ამოგვეყვანა ქათმები, მაგრამ ისეთი რამ მოხდა, რის შესახებ სულაც არ გვიფიქრია. ერთ მშვენიერ დღეს ვცადეთ ქათმების დაჭერა, მაგრამ ახლოსაც არ მიგვეკარეს. ისე დაფეთდნენ და მიიმალნენ ბუჩქებში, რომ სულაც აღარ აპირებდნენ გამოჩენას. ვიფიქრეთ. საღამოთი ქანდარაზე რომ შესხდებოდნენ, მაშინ კიბე მიგვედგა და ისე დაგვეჭირა, მაგრამ კიბე მივიდგით თუ არა, დაიფრთხიალეს და სულ მთლად დაგვემალნენ ბნელში. ერთი სიტყვით, გაგვიგარეულდნენ ქათმები. ძალუა მაგდანას ვუთხარით ეს ამბავი, რომ მისი კრუხი ველარ დავიჭირეთ და ველარ ვუბრუნებდით.

— თქვენ კარგად მყავდეთ, ჩემო შავარდნებო! ის კრუხი თქვენი ჭირის სანაცვლოცა ყოფილა. სადაც თქვენი ვარიები, იქ ჩემი კრუხიც იყოს.

მართალია, ძალუა მაგდანას აღარ შევუწუხებივართ, მაგრამ ისე მაინც ვერ იყო საქმე კარგად. გვეგონა, ქათმები გვყავდა, ვფიქრობდით — როდესაც მოგვეხურ-



მასწავლებელს ჩვენს წინადადებაზე გაეღიმა, ამბავი ყურადღებით მოგვისმინა.

ვებოდა. დავ იჭერდით და მთელ სკოლას გავაკვირვებდით, მაგრამ ასე აღარ გამოვიდა. გამოდიოდა, რომ მათზედაც ისევე უნდა გვენადირნა, როგორც გარეულ ფრინველებზე.

ისევ პაპა წყალობამ გვიხსნა. რომ ვუამბეთ—შვილდისრებით უნდა ვინადიროთ-თქო, ბევრი იცინა მოხუცმა: ერიჰა!.. პაპაშვილობამ, დაგცინებენ! შინაურ ქათმებზე ნადირობა სად გაგონილაო. ქათმების დახაჭერად კი შეხანიშნავი ხერხი გვასწავლა: ჩაგვატანინა ჭალაში ერთი ბზით სავსე დიდი გოდორი. როგორც გვირჩია, ბზე გავშალეთ მიწაზე და ზედ გოდორი მოვამხეთ· გოდორს ცალი მხარე ავუწიეთ და მტკავლის სიგრძე ჩხირი შევუყენეთ. ჩხირს კი გრძელი ბაწარი მოვაბით, წავიღეთ და ოციოდე მეტრის დაშორებით ჩირგვებს მოვეფარეთ.

მართლაც, არ გაუვლია დიდხანს, რომ ქათმები ბზის საქექად იქ მოგროვდნენ. ჯერ ცოტა გაუბედავად, მაგრამ მერე გათამამებულებმა იწყეს ბზის ქექვა და შიგ მარცვლების ძებნა. ისე გაერთვნენ ბზის ქექვით, რომ ველარც კი ამჩნევდნენ, თუ როგორ აღმოჩნდებოდნენ ხოლმე გოდრის ქვეშ, და ჩვენც ბაწრის ერთი გამოკვრით სამ-ოთხ ცალს ვამწყვდევდით. საღამომდე სუყველა ქათამი დავიჭირეთ, მხოლოდ ეჟვანა მამალი კი ვერა და ვერ მოვიტყუეთ გოდორთან.

ეჟვანა ადრეც გაგარეულებული იყო და, სხვა ქათმები რომ ვერხვის ტოტზე იბუდებდნენ, ის ერთი დაბურული ქაცვის ეკლის ბარდზე შემოჯდებოდა ხოლმე და იქ ათევდა ღამეს. იგი ხანდახან დღისითაც გვინახავს ქაცვების კენწეროებზე რომ ისვენებდა. ამასთან, ისეთნაირად იყო შეხამებული თავისი თეთრი და მოყვითალო წინწკლები იმ ქაცვის ფოთლებთან და ყვითელ ნაყოფთან—თუ არ გაინძრეოდა, ზედაც რომ მისდგომოდა კაცი, ვერ შეამჩნევდა.

ახლა კი მარტოდ დარჩენილი ეჟვანა სულ უფრო გატყიურდა და ერთთავად მიუვალ ბარდებში დაძვრებოდა. ხოლო, როცა მთელი ჭალა გაიძარცვა და მარტო მუხებსღა შერჩათ ფოთოლი, ეჟვანაც იმ ფოთლებიან მუხებში იმალებოდა, ხანაც ძველებურად ქაცვებს ეჭამებოდა.

ამასობაში ზამთარიც დადგა. ვენახები და ჭალები თოვლით დაიფარა. ეჟვანა კი ისევ გატყიურებული დადიოდა. საკვირველი ის იყო, ვერც ნადირმა დაიჭირა და ვერც ჩვენ. მთელმა სოფელმა იცოდა იმისი სახელი. ხან ვინ გვეტყოდა, ხან ვინ—თქვენი ეჟვანა მამალი ჩვენს მუხებზე შეფრინდაო; ან, ჩვენს მსხალზე ფითრსა სჭამდაო, და სხვა.

ახლა უკვე აღარა ვთაკილობდით შინაური ქათმის ნაშიერზე კომბლებითა და შურდულებით ნადირობას. მაგრამ ისეთი სწრაფი ფრენა ისწავლა და ისეთნაირად იმალებოდა, რომ უკვე ველარაფერს ვაკლებდით. ერთს დაიკრიახებდა გაგარეულებული ეჟვანა, მეტეორივით გადაევლებოდა მაღალ ხეებს, რომელიმე ფოთლებშემორჩენილ მუხაზე შემოჯდებოდა და გატრუნავდა სულს. ჩვენ ,ეს ვიცოდით და მალეც მივაგნებდით ხოლმე, მაგრამ ახლა იქიდან გაგვიფრინდებოდა და ისევ ამაოდ დავდევდით კომბლებითა და შურდულებით.



ეჟვანა ძველ ბარდებიდან ათენებდა ღამეს თავისი ომახიანი «ყიყლიყოთი»

გაუვარდა სახელი ჩვენს მამალს. ზოგი ყაჩაღს ეძახდა. ზოგი კიდევ რას. ყველას ის უკვირდა, რომ, მელა თუ ხეზე ვერ აჰყვებოდა და ვერ დაიჭერდა, იმ მშიერი ქორებისაგან მაინც როგორ იცავდა თავს ეჟვანა და როგორ ემალებოდა მათ. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ეჟვანამ გამოიზამთრა და გაზაფხულზე, როცა ჭალა ხელახლა შეიფოთლა, იქიდან მამლის ყივილიც კი მოისმა. ის—ჩვენი ეჟვანა იყო, რომელმაც გაუძლო ზამთრის ქარბუქებსა და ყინვებს, მტაცებლებს და, რაღა დასამალია, ჩვენს დევნასაც.

ამ ამბავმა კოლმეურნეობის ქათმის ფერმის გამგე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ. გამგეობასთან შეთანხმებით, თავისი ფერმა იმ ჭალაში გადაეტანა, სადაც ეჟვანა ბინადრობდა. ფერმის გამგე ამბობდა:

— ხომ ხედავთ, როგორი ადგილია ქათმების მოსაშენებლად: წყალი, ბუნებრივი საკვები, ჩრდილები და ჰაერი ისე უწყობენ ხელს ქათმების მოშენებას, რომ უპატრონოდაც მრავლდებიან. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ასეთი ადგილი ჩვენი ფერმის გასაძლიერებლად?

მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს სასწრაფოდ შეუდგნენ ხელოსნები ქათმის ფერმისათვის შენობის აგებას, და სულ მალე ის ჭალა, სადაც წინა წელს ძალუა მაგდანასეული კრუხი დაკინკილებდა რამდენიმე წიწილით, თეთრი ქათმების ასეულებით გაივსო და ინკუბატორებიდან გამოჩეკილი უთვალავი წიწილის წივილით იქაურობა იყო გაყრუებული.

ეჟვანა პირველად ამ ამბავმა ისე შეაკრთო, რომ ერთიხანობა, სიფრთხილის გამო, სულაც გადაიკარგა ჭალიდან, მაგრამ თავისი საყვარელი ბარდები დიდხანს მაინც ვერ მიატოვა და ისევ მალე მოინახულა. ხოლო, როცა დაინახა — იმ ადგილებში ვიღაც უცხო თეთრი მამლაყინწები დაიჯგიმებოდნენ და ყოყლოჩინაობდნენ დედლებთან, ჭალის პირველი ბინადარი ბრაზით აივსო.

არც ჭალის დამპყრობ თეთრ მამლაყინწებს ესიამოვნათ ვიღაც თავხედი ჭროლა მამლის გამოჩენა ამ ადგილებში და მოინდომეს მისი ჩანისკარტება. მაგრამ

ეევანა ფრთხილი იყო. თორემ მფრთხალ- არა. იგი პირველ შემხვედრ მამლაყინწასთანვე ჩაება ბრძოლაში და ველურ ბუნებაში გაალმასებული ნისკარტით სასწრაფოდ წააცალა ბიბილო. რის გამოც მოწინააღმდეგის თეთრი ბუმბულის სამოსელი ერთ წამს სისხლით შეიღება. ასევე დაემართა მეორე მამლაყინწასაც, რომელმაც გაბედა ეევანასთან ჩხუბი. ამან კი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დანარჩენ მამლებზე შთამაგონებლად იმოქმედა და ყველა განზე გადგა. შეეშინდათ და კრუტუნით დედლებში შერივნენ. დედლები კი, პირიქით, ომგადახდილ ეევანას შემოეხვივნენ გარშემო და ეკურკურებოდნენ თავიანთ ენაზე, თითქოს გამარჯვებას ულოცავდნენ. ერთი სიტყვით, იმ დღიდან ეევანა მთელი ფერმის ქათმების მბრძანებლად გადაიქცა და ყეენივით გაბღენძილი დადიოდა.

ფერმის გამგე რომ შეხედავდა ხოლმე ეევანას, ქათმებში გარეულს, სიცილით ამბობდა:

— ხედავთ? ყაჩაღი შევირიგეთ.

ხოლო ის ყაჩაღი მარტო დღე იყო შერიგებული, ღამე კი თავის ძველ ბარდებში შეიმალებოდა ხოლმე და იქ იბუდებდა, იქიდან ათენებდა ბნელ ღამეებს თავისი ომახიანი „ყიყლიყოთი.“ ეევანას მაინცა და მაინც არ მოსწონდა მავთულის ბადურებით მორთული „სასახლეები“ და ერთხელაც ვერ შეიტყუეს შიგ. ასე გავიდა რამდენიმე ხანი.

როდემდე გასტანდა ჩვენი ეევანას გარე-გარე სიარული, ძნელი იყო ამის თქმა. მაგრამ, ერთხელ, რაიონიდან მეფრინველეობის სპეციალისტი, ზოოტექნიკოსი ამოვიდა, ჩვენი ფერმა დაათვალიერა და, ის ჭრელა მამალი რომ შენიშნა ფერმის ქათმებში, წინადადება მისცა გამგეს:

— ეს მამალი სასწრაფოდ მოაშორეთ აქედან, თორემ ფერმა აგიჭრელდებათ და ასეთი რამ არვარგაო.

რაკი ეევანას დაჭერა სხვანაირად არ შეიძლებოდა, თოფით მოჰკლეს ხაცოდავი მამალი და გადმოგვიგდეს მის ძველ პატრონებს, რაზედაც დიდი უკმაყოფილება გამოვთქვით.

აღშფოთებულები ყველას ვუმტკიცებდით ჩვენს სიმართლეს—რატომ შემოგვეჭრნენ თავიანთი თეთრი ქათმებით, დავეტოვებინეთ ჩვენი ჭრელი მამლით, რას გვერჩოდნენო, მაგრამ ამაზე ყურიც არავინ გაიბერტყა.

როდესაც პაპა წყალობას ვუთხარით—აკი შინაური ქათმის მოკვლა არ შეიძლებოდა, მაშ რატომღა ესროლეს ჩვენს მამალსო, მან თავისებურად ჩაიცინა და გვითხრა:

— შვილო! ჭალაც ჩვენია და ფერმაცა მაგრამ კანონი კანონია... განა არ იცითო?!





# მეშვიდეკლასელი პიონერები

## ვარსკვლავის ხელმძღვანელი

მთელი დღე ჩუმი სიხარულით ევსებოდა გული თბილისის მე-7 სკოლის მეშვიდეკლასელ თამაზ დავითელაშვილს, როცა რაზმეულის საბჭომ იგი ოქტომბრელთა ვარსკვლავის ხელმძღვანელად გაგზავნა. მართლაც რომ ჰქონდა სიხარულისა და სიამაყის საბაბი თამაზს: ვარსკვლავის ხელმძღვანელად ხომ მუყაით, უნარიან და საიმედო პიონერს აგზავნიან. «არც მე შევირცხვენ თავს. ჩემი ვარსკვლავი ყველაზე საუკეთესო უნდა იყოს»—გადაწყვიტა თამაზმა და პირველი დღიდანვე შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

ვარსკვლავში მეორეკლასელები არიან გაერთიანებული. პატარებმა შეიყვარეს თავიანთი ხელმძღვანელი, რომელიც ყოველმხრივ ზრუნავს უმცროს მეგობრებზე, ცდილობს—ყველა მათგანი სანიმუშო იყოს სწავლასა და ყოფაქცევაში. მაგრამ ერთია—გქონდეს კარგი სურვილი, და მეორეა—მისი განხორციელება: წარმატებები განა იოლად თავისთავად მოდის. ვარსკვლავის სახელს შესაძლებელი იყო ჩრდილი მოფენოდა. საქმე იმაშია, რომ მის ერთ-ერთ წევრს მეოთხედის ბოლოსათვის დაბალი ნიშანი ელოდა. ტარიელ გარგალარჯევს ძალზე უჭირდა არითმეტიკაში, განსაკუთრებით ვერ ახერხებდა რიცხვების ერთმანეთზე გადამრავლებას. თამაზი შეაშფოთა ამ ამბავმა. «როგორ, ოროსანი ჩემს ვარსკვლავში?!»—ფიქრობდა იგი, და მთელი გულისყური ტარიელისაკენ მიმართა: გაკვეთილების შემდეგ ხან სკოლაში, ხან შინ მოთმინებითავარჯიშებდა, აჩვევდა ბეჯით მეცადინეობას. რაოდენ დიდი იყო თამაზის სიხარული, როცა კლასის მასწავლებლისაგან გაიგო, რომ ტარიელი თანდათანობით ეწევა თავის ამხანაგებს, გაკვეთილებზეც სწორად პასუხობს და საშინაო დავალებებსაც კარგად ასრულებს.

უხარია თამაზს: მისი ვარსკვლავი სამაგალითო ვარსკვლავია. თამაზმა გაამართლა რაზმეულის საბჭოს იმედი.

## შრომისმოყვარე გოგონა

პირველი გაკვეთილი დამთავრდა თუ არა, მესამეკლასელებმა დერეფანი ჟრიამულით აავსეს. უეცრად, ერთ თვალციმციმა გოგონას, რომელიც ეზოში სათამაშოდ გარბოდა, თანატოლმა ხელი წაატანა, გააჩერა და წყრომით მიმართა:

— რა არის ეს, ნინელი! აბა ასე როგორ წამოხვედი სკოლაში? არა გრცხვენია!

— რა იყო, გოგო, რა მოგეჩვენა,—გაოცებული მოტრიალდა ნინელი.—რისა უნდა მრცხვენოდეს?!

— ფეხზე დაიხედე, ნახე, რა დღეშია შენი წინდები.

ნინელიმ დაიხედა ორივე ფეხზე და ლაწვები წითლად შეეფაკლა—დახეულ წინდებიდან ქუსლები მოუჩანდა ვარდისფრად.

ნინელის ყოველთვის სუფთად და კოხტად ეცვა, თმაც ყოველთვის ლამაზად ჰქონდა დავარცხნილი. ყველაფერ ამას კი დედის ხელები აკეთებდნენ. იმ დილით განა არ შეამჩნია ნინელიმ, წინდები რომ დახეული ჰქონდა, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა დედა უკვე წასული იყო სამუშაოზე? ადგა და დახეული ადგილები ღრმად ჩაჩურთა ფეხსაცმელში ისე, რომ ქუსლები შიშვლად არ გამოჩენოდა. შემდეგ კი მიავიწყდა, და «ვერაგმა» წინდებმაც არ დაინდეს პატრონი.—შეარცხვინეს თავმომწონე გოგონა.

წუხელ ვერ დავინახე... დღეს კი, რომ ვიცვამდი, დედაჩემი შინ არ იყო და...

— რაო? — შეუტია ამხანაგმა.—ასეთ უბრალო რამეებზე დედას ეწუწები? შენ რა, ხელები არა გაქვს? ესაა შენი პიონერობა?

გუნება წაუხდა ნინელის. მთელი დღე თავისთვის იყო მიკუნჭული. ცდილობდა, ფეხები დამალული ჰქონოდა: თამაშზე ფიქრი ხომ ზედმეტი იყო. თავში სულ ის სიტყვები უტრიალებდა: «ესაა შენი პიონერობაო?»

დღის ბოლოს შინ სირბილით დაბრუნდა: ასე ეგონა, ყველა გამვლელი მას უცქეროდა ქუსლებში. დედა კიდევ არ იყო მოსული. ნინელის სადილი არც მოჰგონებია. სასწრაფოდ გაიხადა წინდები, მოძებნა ნემსი, ძაფი, მაკრატელი და საქმეს შეუდგა. გამოადგა ხელგარჯილობის გაკვეთილებზე ნასწავლი, თუ როგორ უნდა საკერავი იარაღების ხმარება. კარგა ხანს იწვალა, მაგრამ მაინც არ მიანება თავი ბოლომდე. მართალია, ისე ოსტატურად ვერ ამოკემსა, როგორც დედა ამოკემსავდა ხოლმე, სამაგიეროდ ნინელიმ რაღაც ახალი, ძალიან დიდი სიამოვნება იგრძნო: ეს ხომ მისი საკუთარი ხელების ნაოსტატარი იყო, დედის შეწუხების გარეშე.

გავიდა დღეები და, ნინელი კალაძე არა მარტო ამოკემსვას მიეჩვია, თვითონ დაიწყო თავისი ცხვირსახოცების, წინდებისა თუ ბაფთების რეცხვა. დილით, ადგომისთანავე კოხტად აალაგებს ლოგინს, გაიწმენდავს ტანსაცმელს, ფეხსაცმელს... დახეული წინდების ამბავი კი მისთვის მხოლოდ უსიამოვნო მოგონებად დარჩა.

ახლა, დედის სიხარულს არ იკითხავთ, როცა ხედავს, თუ რა მარჯვედ ტრიალებს ოჯახში მისი პატარა ნინელი, რა ყოჩაღი, რა შრომისმოყვარე შვილი ეზრდება!



— აბა, მაჩვენე რა მოგცეს საშინაო დავალებად დღეს არითმეტიკაში,—ეუბნება გაკვეთილების შემდეგ სამეცადინოდ დარჩენილ ტარიელს თამაზ დავითელაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



↑ შესვენებაა. სკოლის რადიოკვანძში ნელი ჩაჩავა მხატვრულად კითხულობს ი. გრიშაშვილის ლექსს — „თქვენთვის, ჩემო პატარებო“.

# ყვავილების მეგობრები

ჩვენში, მთები თუ ველები, კორდები თუ ჭალები, ადრეულ გაზაფხულიდან შემოდგომის მიწურულამდე ზღაპრული ფერებითაა ხოლმე მოქარგულ-მოჩითული. ამ თვალწარმტაც ფერადოვნებას კი უმთავრესად ყვავილები ქმნის. ყვავილი ბუნების სილამაზის გვირგვინია; იგი ადამიანის თვალსაც ახარებს და გულსაც, ეშხსა და ლაზათს ჰმატებს ყოველივეს, რაც ჩვენს გარშემო არსებობს. ხალხის გამრჯე ხელიც ათასგვარი ყვავილით ყოველდღე უფრო და უფრო ამშვენიერებს ქუჩებს, ბაღებს, პარკებს. სკვერებს, აივნებს...

გია ჩხეიძესაც უყვარს ყვავილები, უყვარს მთელი სულითა და გულით. რა თქმა უნდა, გიას ყველაზე მეტად თავისი სკოლა უყვარს. და აი, ერთხელ, ამ მეოთხეკლასელმა ბიჭუნამ გადაწყვიტა მშობლიური სკოლისათვის შინ გამოზრდილი ალეანდრა მიეტანა საჩუქრად.

გადაწყვეტილება მალე მოიყვანა სისრულეში. გიამ პატარა ხის ყუთი შეკრა და მასში დიდი ქოთნიდან გადმორგო ხასხასა ყვავილი. მეორე დილით კი, ხელდამშვენებულმა ადრიანად მიაშურა სკოლას, წყნარად შევიდა დერეფანში და ყუთი ყვავილით ფანჯრის რაფაზე დადგა. თუმცა დერეფანში მრავლად იყო სხვა ყვავილებიც, მაგრამ გიასთვის მას შემდეგ უფრო ძვირფასი შეიქნა იქაურობა. ყოველ დილით მოუთმენლად მოიჩქარის სკოლაში, რათა თავისი ხელით მოუაროს, მოეფეროს ფანჯრიდან თავმომწონედ გადმომყურე ყვავილს.

მაგრამ მარტო გია როდია ყვავილების მეგობარი ამ სკოლაში. ვარდო ოდილავაძე, ლიანა გეორხელიძე, როინა მესტვირიშვილი, ციცინო ჯაფარიძე, მზია მესხიშვილი დიდი სიყვარულით უვლიან სკოლის ყვავილებს, თავს დასტრიალებენ მათ დღენიადაგ. იმიტომ არის, რომ თვით ზამთრის პირზეც, როცა გარეთ ბუნებას უკვე გაუხდია მწვანე სამოსი, მე-7 სკოლის დერეფნებსა და ოთახებში კვლავ ლაღად ხასხასებენ, ციმციმებენ პატარების ხელით მოვლილ-ნაფერები ფერად-ფერადი ყვავილები. ამიტომაც ეძახიან ამ სკოლას «ყვავილების სკოლას».

**ს. შამურიანი**

ფოტო გ. ქიმერიძისა



← დიდი სიფრთხილითა და სიყვარულით გადააქვს გია ჩხეიძეს ახლადმოტანილ ყუთში ნორჩი ყვავილი.



დაძაბულად იბრძვიან ჭადრაკში სკოლის ჩემპიონობაზე მეექვსეკლასელებიც. აი, ლიანა გეორხელიძემ ზუსტი სვლით დიდ საგონებელში ჩააგდო მისი მოწინააღმდეგე დავით ხარებავა. →

# ბემბი



ფ. ზალტენი

ტყის ზღაპარი

ნახ. გ. ნიკოლსკისა

იგი ამ ქვეყნად უღრანსა და უსიერ ტყეში გაჩნდა, ერთ მიყუდროებულ ადგილას, რომელიც მარტო ტყის მკვიდრმა ბინადრებმა თუ იციან.

თავისი დიდრონი, მღვრიე თვალებით ჯერ ვერას ხედავდა, არც ფაფუკ ყურებში ესმოდა რამე, დგომა კი შეეძლო, ოღონდ, ჯერ სუსტი ფეხები ჰქონდა და ოდნავ ირწეოდა, თრთოდა და კრიალა კანი უნაოჭდებოდა.

— რა მშვენიერია! — წამოიძახა კაჭკაჭმა, რომელიც რაღაც საქმეზე მიეშურებოდა, მაგრამ მის დანახვაზე ყველაფერი გადაავიწყდა. იქვე ხის ტოტზე ჩამოჯდა და აჭახჭახდა:

— რა მშვენიერია!

არავინ გამოპასუხებია, მაგრამ კაჭკაჭს ეს აინუნშიაც არ ჩაუგდია.

— საოცარია! — განაგრძობდა რატრატს. — ასეთი ჩვილია და ფეხზე დგას. დახეთ, დადის კიდეც! ამის მსგავსი ჯერ არაფერი მინახავს. მართალია, არც მე ვარ მაინცა და მაინც დიდი — სულ ერთი წელია, რაც ბუდიდან ამოვფრინდი — ეს თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, მაგრამ არა, ეს ნამდვილად უჩვეულოა და განსაცვიფრებელი. თუმცა რა, თქვენ, ირმებს, ხომ საერთოდ ყველაფერი უჩვეულო და გასაკვირი გაქვთ. მითხარით ერთი, ეგებ სირბილიც შეუძლია?

— რა თქმა უნდა, — წყნარად მიუგო დედამ. — მაგრამ, მომიტევეთ, გეთაყვა, თქვენთან სამუსაიფოდ არა მცალია, ქვეყნის საქმე მაქვს... ესეც არ იყოს, თავს სუსტად ვგრძნობ.

— კეთილი, ნუ შეწუხდებით, — აჩქარებით მიუგო კაჭკაჭმა. — თქვენ რა გგონიათ, არც მე ვარ მოცლილი, მაგრამ, მოდი და ნუ განცვიფრდები... ხომ წარმოგიდგენიათ, ჩვენში რარიგ გაძნელებულია ეს ამბავი: ჩვენი პატარები სრულიად უმწეონი იჩეკებიან კვერცხებიდან, თავისით არაფრის, სულ არაფრის კეთება არ შეუძლიათ, მერე რა მოვლა სჭირდებათ, წარამარა უნდა აჭამოთ, ოჰ, ნუ იტყვით, ეს საკვები უშოვეო, ეს თვალყური ადევნე, რომ რაიმე ხიფათი არ შეემთხვეთო. — პირდაპირ თავბრუ დაგესხმის. მანამ წამოიჩიტებიან, ბუმბულით შეიმოსებიან და ხეირიანი შესახედავები გახდებიან. შენ შენი დაგემართება, თქვენ თვითონა სთქვით, ასე არ არის?

— კი ნუ გეწყინებათ, მაგრამ არ გისმენდით. — უთხრა დედამ.

კაჭკაჭი უსიტყვოდ გაფრინდა. გუნებაში კი ფიქრობდა: „უგუნური ყოფილა, საკვირველი, არაჩვეულებრივი, მაგრამ მაინც უგუნური".

დედას არც კი შეუმჩნევია კაჭკაჭის გაფრენა. ახლადდაბადებულის ბანვას შეუდგა. ენით ბანდა შვილს, ფრთხილად და თანაც გულმოდგინედ ულოკავდა ნაზი ქურქის თითოეულ ბეწვს. ეს იყო დაბანვაც, გათბობაცა და ალერსიც.

პაწაწა ოდნავ ირწეოდა. დედის ალერსმა ბურანში ჩააგდო. საამო მოთენთილობა იგრძნო, მიწაზე გაწვა და გაინაბა. მისი მოწითალო, ალაგ-ალაგ აბურძგნული, ნოტიო ქურქი თეთრ ხალებს დაეწინწკლა. სრულიად ნორჩი, მშვიდი სახე ნამძინარევს უგავდა.

* * *

ვიდრე დედა სადილობდა, ბემბი ახლო-მახლო სახეტიალოდ გაეშურა. იმედოვნებდა — ძველი ნაცნობებიდანაც შეხვდებოდა ვინმეს და ახალსაც გაიჩენდა. შეხვედრა იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც თვით მოლოდინის გრძნობა სიამოვნებდა. უეცრად რაღაც შრიალი და თითქოს ყრუ თქარა-თქურიც მოესმა. მიმოიხედა, შორს, ტყის პირას, ბალახში რაღაცამ გაიელვა... მას მეორეც მოჰყვა. ბემბიმ სწრაფად გახედა დედას. მას კი სრულიად აუღელვებლად, ღრმად ჩაერგო ბალახებში თავი. უცნობი არსებები უვლიდნენ წრეს სწორედ ისე, როგორც ამას თვითონ ბემბი აკეთებდა თამაშის დროს. შეფიქრიანდა, უკან დაიხია, თითქოს გასაქცევად მოემზადა. დედამ შენიშნა შვილის აღელვება, თავი ასწია და გასძახა:

— რა მოგივიდა?

ბემბის შიშისაგან ენა ჩაუვარდა, ძლივს წაილუღლუღა:

— იქ... იქით...



დედა ენით ბანდა შვილს, გულმოდგინედ ულოკავდა ნაზი ქურქის თითოეულ ბეწვს.

დედამ გაიხედა. საითაც ბემბი იცქირებოდა.

აჰა. აი. რა ყოფილა! ეგ ენაა. ჩემი დეიდაშვილი. მასაც ჰყავს პატარა... დახეთ მერე. ერთი კი არა. ორი. — დედამ მხიარულად დაიწყო ლაპარაკი. მაგრამ ერთბაშად დადინჯდა: ერთი მაგას დამიხედეთ! ტყუპები არა ჰყოლია?.. ნამდვილად ტყუპებია.

ბემბის ფართოდ გაეღო თვალები და ისე იცქირებოდა. ტყის პირად.. მინდორზე, მან შენიშნა არსება. რომელიც ძალიან ჰგავდა დედამისს. საკვირველია. რომ ადრევე ვერ შენიშნა იგი. ბალახში კი კვლავინდებურად ვიღაცა წრეს უვლიდა. მაგრამ ორი წითური ზურგის და ორი მოწითალო ვიწრო ზოლის გარდა არაფერი ჩანდა.

— წამოდი, უთხრა დედამ. — აი. შენი ტოლებიც მოვიდნენ.

ბემბი სიხარულით გაიქცეოდა, მაგრამ დედა არ ჩქარობდა, ყოველ ნაბიჯზე აქეთ-იქით იხედებოდა. ბემბი ხომ დედას წინ ვერ წაუვიდოდა. ამით. ცოტა არ იყოს. უკმაყოფილო დარჩა, მოუთმენლობითა და ცნობისმოყვარეობით გული ელეოდა.

დედა ხმამაღლა ამბობდა:

— ეჭვიც არ მეპარებოდა. რომ დეიდა ენას შევხვდებოდით. კიდეც ვფიქრობდი, სად დაიკარგა-მეთქი. რასაკვირველია. ისიც ვიცოდი. მასაც ეყოლებოდა ბიჟინა. ამას რა დიდი მიხვედრა უნდოდა. მაგრამ ტყუპები!..

ბოლოს ენამაც შეამჩნია დეიდაშვილი და მისი ბიჟინა. თავისებს დაუძახა და ნათესავების შესაგებებლად წამოვიდა.

დეიდასათვის თავაზიანი სალმის მიცემა იყო საჭირო, მაგრამ ბემბი თავისი ტოლების გარდა ვერავის ამჩნევდა.

— აბა,— მიმართა დეიდამ ბემბის,— ეს გობოა. ეს კი ფალინა. მიდი, ითამაშე მათთან.

სამივე პატარა გაქვავებულივით იდგა ერთ ადგილას. თვალებს ვერ აცილებდნენ ერთმანეთს. გობო და ფალინა ერთ მხარეს იდგნენ, ბემბი მათ პირდაპირ. იდგნენ გაუნძრევლად. თვალებად გადაქცეულნი.

ნუ მიაქცევ ყურადღებას. — უთხრა დედამ დეიდაშვილს. — თვითონ მოუვლიან თავს.

— რა მშვენიერი ბიჟინაა! — თქვა დეიდა ენამ. — მაგარი. ჯანიანი. მოყვანილი.

მართლაც. ბედს ვერ დავემდურები. — ესიამოვნა დედას შვილის ქება. — შენ კი ტყუპები გყავს. ენა!..

ჰო. — ჩამოართვა სიტყვა ენამ. — შენც ხომ იცი. ჩემო კარგო. ამ მხრივ არც სხვა დროს დავრჩენილვარ გულნატკენი.

— ბემბი ჩემი პირმშოა... — თქვა დედამ.

იცი რა. თითქოს ანუგეშა ენამ. — მუდამ ხომ ერთი არ გეყოლება. ვინ იცის. შემდგომში რა იქნება.

ბავშვები კვლავ გაუნძრევლად. თვალებდაჭყეტილები იდგნენ. არცერთს არ დასცდენია სიტყვა. უეცრად ფალინა შეხტა და განზე გავარდა. მას მალე მოსწყინდა ასე უაზროდ დგომა.

ბემბი გაეკიდა. მას გობოც მიჰყვა. დასდევდნენ ერთმანეთს. დანავარდობდნენ წინ და უკან. ლამაზ ნახევარწრეებს ხაზავდნენ. ეს შესანიშნავი იყო! როდესაც დაღლილები და გულამოვარდნილები შესასვენებლად შეჩერდნენ. თავს უკვე ძველი ნაცნობებივით გრძნობდნენ. მოყვნენ ტიკტიკს. ბემბიმ უამბო. თუ როგორ ესაუბრა კალიასა და ფრთათეთრა პეპელას.

— მაისის ხოჭოსთან თუ გისაუბრია? — ჰკითხა ფალინამ.

არა. ხოჭოსთან ჯერ არ უსაუბრია ბემბის. არც იცნობდა. მართალი თუ გინდათ. თვალითაც არ ენახა.

— მე ხშირად ვქაქანებ იმასთან. ცოტა ქედმაღლურად შენიშნა ფალინამ.

— მე კი ქორმა გამლანძღა! — გაიხსენა ბემბიმ.

— შეუძლებელია! გაოცდა გობო. — ნუთუ გაგლანძღა? გობოს ყველაფერი უკვირდა. მე კი ზღარბმა მიჩხვლიტა ცხვირზე. — შენიშნა მან ისე. თითქოს არაფერი მომხდარიყოს. გობო მეტად მოკრძალებული იყო.

— ზღარბი ვინაა? — დაინტერესდა ბემბი. თან კმაყოფილი დარჩა — კარგია ასეთი გათვითცნობიერებული მეგობრების ყოლა.

— ზღარბი საშინელი რამ არის, — წამოიძახა ფალინამ. — სულ ნემსებშია ჩამჯდარი. და ამასთან, ძალიან ბოროტია.

— შენ გგონია ბოროტია? — თქვა გობომ. — იგი ხომ არავის არაფერს უშავებს.

— კი მაგრამ, შენ არ იყავი, რომ გიჩხვლიტა? — მაშინვე შეეკამათა ფალინა.

— ეჰ, მე თვითონ ჩავაცივდი, მინდოდა საუბარში გამომეწვია. ჩხვლეტითაც ოდნავ მიჩხვლიტა.

ბემბი გობოს მიუბრუნდა:

— რატომ არ უნდოდა შენთან საუბარი?

— იგი, საერთოდ, არავის ელაპარაკება, — არ აცალა პასუხი ფალინამ, — მიუახლოვდები თუ არა, შეიკუმშება, დაიგორგლება და სულ აიბურძგნება ნემსებით. დედაჩვენი ამბობს, საერთოდ არავის მეგობრობსო.

— იქნებ შიშით მოსდის ეს? — მორიდებით შენიშნა გობომ.

მაგრამ ფალინამ მტკიცედ განაცხადა:

— დედა ამბობს, მაგისთანებისაგან თავი შორს უნდა გვეჭიროთო.

ბემბიმ ჩუმად ჰკითხა გობოს:

— თუ იცი, რას ნიშნავს... „საფრთხე“?

სამივე ერთბაშად დადინჯდა, ახლოს მიიტანეს ერთმანეთთან თავები.

გობო ჩაფიქრდა. მას თვითონაც სურდა სცოდნოდა, თუ რას ნიშნავს საფრთხე. ხედავდა, რა მოუთმენლად ელოდა ბემბი პასუხს.

— საფრთხე, — წაიჩურჩულა მან, — საფრთხე... ძალიან ცუდია.

— ეგ მეც ვიცი... მაგრამ, მაინც როგორია?

სამივე შიშის ცახცახმა აიტანა.

უცბად, ფალინამ ხმამაღლა და მხიარულად წამოიძახა:



— რა მშვენიერია! — წამოიძახა კაჭკაჭმა, რომელსაც ბემბის დანახვაზე ყველაფერი გადაავიწყდა.

— საფრთხე იმას ნიშნავს, რომ უნდა მოკურცხლო! — და სწრაფად გადახტა განზე.

მოსწყინდა ერთ ადგილზე დგომა და თან რაღაცის გამო შიშით თრთოდა. მას გობო და ბემბიც მიყვნენ და ხელახლა დაიწყეს თამაში.

ემალებოდნენ ერთმანეთს, იფლობოდნენ სურნელოვან ბალახში, კოტრიალობდნენ, ცელქობდნენ და სულ გადაავიწყდათ ის საშინელი რამ, რაც ცოტა ხნის წინ ასე აღელვებდა მათ. თამაშით რომ გული იჯერეს, ისევ ტიკტიკს მოჰყვნენ. არც დედებს დაუკარგავთ უქმად დრო: ბალახს წიწკნიდნენ და თან მეგობრულად მასლაათობდნენ.

მაგრამ აი, დეიდა ენამ თავი აიღო და გასძახა:

— გობო, ფალინა! შინისაკენ!

ბემბისაც დაუძახა დედამ:

— წავიდეთ... დროა!..

— ცოტა კიდევ დაგვაცადეთ! — გაჭირვეულდა ფალინა. — სულ ცოტა მაინც.

ბემბი ევედრებოდა დედას:

— დავრჩეთ კიდევ! გთხოვ! აქ ისე კარგია!

გობო მორცხვად იმეორებდა:

— მართლაც, რა კარგია აქ... გვეთამაშა კიდევ ცოტა!..

სწორედ ამ დროს მოხდა ისეთი რამ, რაც ბემბის მიერ მიღებულ ყველა იმდღევანდელ შთაბეჭდილებაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებო იყო. ტყიდან უცებ ისეთი თქარა-თქური მოისმა, თითქოს მიწა ინძრაო. ატყდა ფიჩხის ტკაცა-ტკუცი, აშრიალდნენ ტოტები, და პატარებმა ყურების დაცქვეტაც ვერ მოასწრეს, რომ რაღაც მრისხანედ გამოვარდა ტყის სიხშირიდან და უკან მოიტოვა ხმაური, ჭახა-ჭუხი, გუგუნი. გრიგალივით ჩაიქროლა ორმა ირემმა და უღრანში გაუჩინარდნენ. ერთი წუთის შემდეგ კვლავ გამოჩდნენ ტყის პირად და ერთმანეთისაგან ასე, ოცი ნაბიჯის დაშორებით გაირინდნენ.

ბემბი მათ მოჯადოებულივით შეჰყურებდა. ისინი ძალიან ჰგავდნენ დედას და დეიდა ენას, თუმცა თავს მოყავისფრო, ზოგან თეთრად დაკბილული, დატოტვილი გვირგვინი უმშვენებდათ. ბემბი უსიტყვოდ მისჩერებოდა ხან ერთს, ხან მეორეს.

ერთი ტანად მომცრო იყო, შედარებით სადა გვირგვინი ედგა, მეორე კი დიდებული სილამაზის პატრონი იყო. მას მაღლა, ამაყად აეღო თავი. უფრო მაღალი, განზე ფართოდ გაშლილი რქები ამშვენებდა. რქებზე თეთრად მოელვარე ქიმები ისე აჩნდა, გეგონებოდა მომძივული არისო.

— ო! — აღტაცებით აღმოხდა ფალინას.



სამივე პატარა ერთ ადგილას იდგა გაქვავებულივით. გობო და ფალინა ერთ მხარეს იდგნენ, ბემბი—მათ პირდაპირ.

— ო! ჩუმად გაიმეორა გობომ.

ბემბი სდუმდა.

მაგრამ აი, ისინი შეინძრნენ, ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს მიბრუნდნენ და ნელა გაემართნენ ტყისაკენ. დიდებული შესახედაობის ირემმა სულ ახლოს ჩაუარა ბიჭინებს. ლამაზად მიაბიჯებდა, ისე ამაყად მიჰქონდა მეფური თავი, რომ ზედაც არ შეუხედავს არავისათვის. ბიჭინებს სუნთქვისაც კი ეშინოდათ, ვიდრე ულრანში არ მიიმალა იგი. მხოლოდ მაშინღა გაბედეს შეეხედათ ერთმანეთისათვის, როდესაც ტყემ მშვენიერ უცნობს თავისი მწვანე ფარდა ჩამოაფარა.

ფალინამ პირველმა დაარღვია სიჩუმე.

— ვინ იყო?—წამოიძახა მან, თან კი პატარა, კადნიერი ხმა უკანკალებდა.

გობომ ძლივს გასაგონად გაიმეორა:

— ვინ იყო?

ბემბი სდუმდა.

დეიდა ენამ დიდმნიშვნელოვნად განაცხადა:

— თქვენი მამები იყვნენ.

ამის მეტი არაფერი თქმულა. ნათესავები უხმოდ დასცილდნენ ერთმანეთს. დეიდა ენა ბიჭინებთან ერთად სწრაფად მიიმალა უახლოეს ბუჩქნარში—იქ გადიოდა მათი გზა. ბემბიმ და დედამ მთელი მინდორი გადაიარეს, სანამ იმ ბებერ მუხასთან მოხვდებოდნენ, საიდანაც მათი ბილიკი იწყებოდა. ბემბი დიდხანს სდუმდა. ბოლოს კი იკითხა:

— დაგვინახეს?

— კი, ისინი ყველაფერს ხედავენ.—უპასუხა დედამ.

უცნაურმა გრძნობამ აიტანა ბემბი: კიდეც ეშინოდა კითხვისა და არც გაჩუმება შეეძლო.

— მერედა რატომ... –დაიწყო და სიტყვა გაუწყდა.

დედა მიეშველა:

— რა გინდოდა გეთქვა, ჩემო პატარავ?

— რატომ არ დარჩნენ ჩვენთან?

— მართალია, ახლა არ დარჩნენ,—თქვა დედამ.— მაგრამ ეგ დროც დადგება...

— რატომ არ დაგველაპარაკნენ? — გააწყვეტინა ბემბიმ.

დედამ აუხსნა:

— მართალია, არ დაგველაპარაკნენ... მაგრამ ამის დროც მოვა... საჭიროა მოთმინებით უცადო, როდის მოვლენ, უცადო, როდის გაგცემენ ხმას. ყველაფერი იქნება ისე, როგორც ისინი მოისურვებენ.

— მეც დამელაპარაკება მამაჩემი?—გაირინდა ბემბი.

— რაღა თქმა უნდა, ჩემო კარგო. როდესაც წამოიზრდები, დაგელაპარაკება. ზოგჯერ მასთან ყოფნის უფლებაც კი გექნება.

ბემბი ჩუმად მიყვებოდა დედას. მთელი მისი არსება მამასთან შეხვედრით გამოწვეულ შთაბეჭდილებას მოეცვა. „რა შესანიშნავია,—ეჩურჩულებოდა თავის თავს,— რა საუცხოო სილამაზის პატრონია!“ სულ ის, დიდებული ირემი ედგა თვალწინ, ვერ შორდებოდა ფიქრით.

დედა თითქო მიუხვდაო ფიქრს:

— თუ სიცოცხლეს შეინარჩუნებ, ჩემო პატარავ, თუ ჭკვიანად მოიქცევი და საფრთხეს განერიდები, რომ გაიზრდები, მამაშენივით ძლიერი და ტანადი იქნები და შენც ისეთივე გვირგვინი გექნება თავზე.

ბემბი ღრმად სუნთქავდა. სიხარულით, შიშით და იმედით უცემდა გული...



გრიგალივით ჩაიქროლა ორმა ირემმა და ულრანში გაუჩინარდნენ.

თარგმნა

**გ. გვერდწითელმა**





თენგიზ მათიაშვილს გულდასმით, დაკვირვებულად გამოჰყავს პირველი კონტურები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომავალი კერამიკოსები

## კამათი

— მე იქ არ წავალ!

— რა ჩვენი საქმეა?!

— რას ამბობ, ბიჭო, ამაზე კარგ ხელობას სად დავეუფლებით?

— მართალია!—კვერი დაუკრა ნუნუ გელოვანმა.—კერამიკულ კომბინატში ჩვენი რაზმი კვირაში ორჯერ შეივლის. ორ ჯგუფად გავიყოფით, გოგონები საჩამომსხმელო საამქროში გავივლით საწარმოო სწავლებას, ვაჟები კი სამხატვროში.

— კი მაგრამ, შესძლებენ გოგოები საჩამომსხმელოში მუშაობას?—ახმაურდა თამაზ მეგრაბიანიც.—ან რა მაგათი საქმეა ჩამოსხმა, და საერთოდ...

—მაშ რა გგონია? ასე არ ჯობია?—სიტყვა შეაწყვეტინა ციალა დანელიამ და თან დამცინავად გადახედა ბიჭებს.—თქვენ, ბიჭები, ჩაიცვამთ თეთრ, გაქათქათებულ ხალათებს, ხელში წვრილ ფუნჯებს მოიმარჯვებთ და შეუდგებით ჩვენს მიერ ჩამოსხმული და გამომწვარი ფაიფურის მოხატვას. ასე არ ჯობია?

გოგონებს სიცილი წასკდათ. ბიჭები აიჩ-რიზენ, თუმცა თქმით კი არაფერი უთქვამთ.

უსმინა კლასის დამრიგებელმა მოსწავლეთა ლაპარაკს და, რაკი შეიტყო მეცხრეკლასელთა აფორიაქების მიზეზი, პირზე ღიმილი მოერია, ახლო მივიდა მათთან და ლაპარაკში ჩაერია. კამათით გართულებმა მხოლოდ ახლა შენიშნეს იგი. ყველა გაირინდა და მასწავლებელს ყური მიუგდო.

— კომბინატის დირექტორის გადაწყვეტილება რომ სწორია, ამაში თვითონ დარწმუნდებით.—მოკლედ მოსჭრა მან და ერთხელ კიდევ შეახსენა, რომ ხვალ მეცხრეკლასელები უკლებლივ გამოცხადდეშიან დანიშნულ დროს.

## პირველი გაკვეთილი

მეორე დღეს მშვენიერი დილა გათენდა. კერამიკული კომბინატის მუშა-მოსამსახურეები გულთბილად შეხვდნენ 88-ე სკოლელებს. დაათვალიერებინეს კომბინატის ყველა საამქრო და ბოლოს საჩამომსხმელოშიც შეიყვანეს.

მოსწავლეებმა გულდასმით დაათვალიერეს სხვადასხვა ზომისა და ფორმის ყალიბები. აგერ, საამქროს ოსტატმა გიული ადიკაშვილმა ქართული სურის ყალიბი მოიმარჯვა, შიგ ფაიფურის ფაფისებური თხელი მასა ჩაასხა და გვერდზე მიდგა. გარკვეული დროის შემდეგ ფრთხილად გადმოაპირქვავა ყალიბი, ზედმეტი მასა გადმოღვარა, კვლავ გვერდზე მიდგა და დრო დაინიშნა.





ბიჭები თვალს არ აშორებდნენ ოსტატის საქმიანობას და თან უკვირდათ,—ეს რა გოგოს საქმეაო.

აი, ოსტატი კვლავ დასწვდა ყალიბს და მის გახსნას შეუდგა. ცოტაც და—ვიწროყელიანი მაღალი სურა მზადაა გამოსაწვავად. მაგრამ, ეს რა ხდება? თენგიზ მათიაშვილი სურას სწვდა ყელში და მისი ახლოს დათვალიერება მოინდომა. სამწუხაროდ, მიზანს ვერ მიაღწია: სურის ყელი ხელში შერჩა, ქვედა ნაწილი კი იქვე დაეცა და ნამსხვრევებად იქცა. გიულიმ სინანულით გადახედა თავის ნამუშევარს, მაგრამ თენგიზის შეშინებულ თვალებს რომ წააწყდა, გაეღიმა: ახლოს მივიდა და დასამშვიდებლად უთხრა,—არა უშავს, ვიდრე შევისწავლიდით, ჩვენც ასე გვიტყდებოდა. დღეიდან შენც გეცოდინება, რომ გამოუმწვარი კერამიკული თიხა ნაზია, ფრთხილ მოპყრობას მოითხოვს. ეს ამბავი შენი და შენი მეგობრებისათვის პირველი გაკვეთილი იქნება.

საჩამომსხმელო საამქროდან მოსწავლეები სამხატვროსაც ეწვივნენ. ერთი შეხედვით საინტერესო აქ არაფერი იყო. მხატვარ-კერამიკოსებს ხელში ფაიფურის ნაწარმი მოემარჯვებინათ და წვრილბეწვიანი ფუნჯებით ლამაზად და მოხდენილად ახატავდნენ საჭირო ნაყშებს.

უქცერდნენ მხატვრების საქმიანობას ბიჭები და აშკარად ეტყობოდათ, რომ მაინცა და მაინც თვალში არ მოუვიდათ თავიანთი მომავალი სასწავლო-სამუშაო ადგილი:—ფუნჯები რა ჩვენი საქმეაო.

— რაო, არ მოგწონთ?—გამოეხმაურა ბავშვებს მხატვარი-კერამიკოსი გურამ დოლიძე, როცა მოსწავლეთა უკმაყოფილო სახეები შენიშნა.—აბა, აქეთ მოიწი.—და მხატვარმა თენგიზ მათიაშვილი მოიხმო.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, გოგონებს თვალები აუციმციმდათ და თავშეკავებული



←
— არა უშავს, თენგიზ, ვიდრე შევისწავლიდით, ჩვენც ასე გვიტყდებოდა.—დამამშვიდებლად უთხრა გიული ადიკაშვილმა ბიჭუნას.



ანა კარაბანოვამ რეზინის მსხვილი მილით დოქის ყალიბებს ჩამოუარა და შიგ ფაიფურის თხელი მასა ჩაასხა

# ჩვენი მეორე სკოლა

სწავლის დაწყების პირველი დღეებიდანვე გულმოდგინედ შეუდგნენ პიონერ-მოსწავლეები კერამიკოსის პროფესიის დაუფლებას.

ხალისიანად მუშაობენ თეთრხალათიანი



ხილით თენგიზს გზა დაუთმეს.—აბა, შენ იცი, ახლა რას გაკეთებ.

ხანდაზმული თენგიზი მხატვარს მიუახლოვდა.

— შენი სახელი?

— თენგიზი.

— მო, აბა, თენგიზ, აიღე აგერ ის ფუნჯი, ის ფილაც, და აქ დაჯექი. ხედავ ამ ამობურცულ ნაწილებს?—თენგიზმა თავი დაუქნია.

—ახლა ამ უკვე მოხატულ ფილასაც დააკვირდი. ხედავ, როგორი ნაყშია გამოყვანილი? აბა, ეცადე და შენც ამგვარად მოხატე ეს ფილა.

თენგიზმა გაუბედავად ამოაწო ფუნჯი საღებავში და ნაყშის მოხაზვას შეუდგა. მაგრამ პირველივე ხაზი ისეთი მსხვილი და ტლანქი გამოუვიდა, რომ თვითონვე არ მოეწონა და სწრაფად წაშალა. მისმა თანაკლასელებმა თავი ვეღარ შეიკავეს და ხმამაღლა გადაიხარხარეს. დარცხვენილ თენგიზს სამქროს ოსტატი აბესალომ ბარამიძე მიუახლოვდა და სხვების გასაგონად სთქვა:—სასაცილო აქ არაფერია, ყოველ თქვენთაგანს, შესაძლებელია, უარესიც მოსვლოდა. ახლა კი საქმეს მივხედოთ, დროს ნულარ ვკარგავთ. გოგონები ისევ ხაჩამომსხმელო სამქროში ბრუნდებიან. იქ მათ ჩვენი ინჟინერ-კერამიკოსი ნინო ხარბედია უხელმძღვანელებს.



მარი თულიანმა ყალიბები გახსნა და საყვავილე სურები ამოიღო.

გოგონები ხაჩამომსხმელო სამქროში. აგერ, ანა კარაბანოვამ დოქის ყალიბები შემკრარკინის სალტებით, შემდეგ რეზინის მსხვილი მილი მოიმარჯვა, ყალიბებს ჩამოუარა და ყოველ მათგანში რეზინის მილიდან მოდენილი ფაიფურის თხელი მასა ჩაასხა. იქით მარი თულიანი ფუსფუსებს. მან ცაცას მიერ შეკრული ყალიბები გახსნა, მცირე ზომის საყვავილე სურები ამოიღო და თავის მეგობრის—ეთერ მაისურაძის სამუშაო ადგილზე მიიტანა. იქ კი ეთერს პაწია ბასრი დანა მოემარჯვებინა და უკვე ჩამოსხმულ ნაწარმს ნაწიბურებს აცლიდა. აი, მან ფრთაფარფატა მტრედი გაასუფთავა და ოსტატს უჩვენა.—ნახელავი შემიმოწმეთ.

ვის არ მოხიბლავს გემოვნებით გამოქანდაკებული ქართველი ქალი, რომელსაც კალთაში ბუნების მშვენება—შვლის ნუკრი უზის და ერთმანეთს სიყვარულით შესცქერიან თვალებში. სინაზეს და სიფაქიზეს მოითხოვს ასეთი სკულპტურა. და განა აკლებს ოსტატობას ნელი მელიქიძე. მისი ნამუშევარი ყველას მოსწონს. ყველა უქებს მარჯვენას გოგონას.

— მასწავლებელო, აი ეს დოქი უკვე ჩამოვასხით, სახელურიც მზადა გვაქვს, მაგრამ ერთმანეთს როგორღა მივაკავშიროთ?—მიმართეს ჯგუფის პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელს ნინო ხარბედიას მოსწავლეებმა. თამაშევერცხლილმა ინჟინერმა სიყვარულით გადახედა მომავალ ოსტატებს. აბა, თქვენ იცით, როგორ მახახელებთო, და შრომისმოყვარე გოგონებს ყველაფერი აუხსნა დაწვრილებით.

ქართული, მაღალყელიანი სურა ყოველთვის ხიბლავდა მნახველს თავისი სიკოხტავით. ჩვენი სახელოვანი წინაპრები მას თიხისაგან ამზადებდნენ და მაელ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას სიყვარულით ჩააქსოვდნენ ხოლმე შიგ. ეს ამბავი კარგად იცის ნუნუ გელოვანმაც და ოსტატებისა და გამოცდილი მუშების ყოველ რჩევა-დარიგებას ყურადღებით ისმენს, ეუფლება კერამიკოსის საპატიო საქმეს და მის მიერ ჩამოსხმული და გამოსაწვავად გამზადებული სურები მხოლოდ მოწონებას იმსახურებენ.

სამქროში ყველაფერი თოვლისფრად ქათქათებს. რომელ კუთხეშიც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან შრომისმოყვარე გოგონებს შენიშნავთ. აქეთ ნუნუ გელოვანი და ციალა მლებრიშვილი საქმიანობენ; იქით იზოლდა ჯოჯუას და ბაბულია შილაკაძეს სახელობი დაუმკლავებიათ და ყალიბებს ასუფთავებენ. ყველა შრომობს, ყველა სწავლობს.

—კომბინატი ჩვენი მეორე სკოლაა, ეს სამქრო კი საკლასო ოთახია,—ამბობენ ისინი და ხალისით განაგრძობენ თავიანთ საქმეს.

სამქროში ყველაფერი თეთრად ქათქათებს. მის ყოველ კუთხეში შრომისმოყვარე გოგონებ. ფუსფუსებ ნ.





ნუნუ გელოვანის ჩამოსხმული და გამოსაწვავად გამზადებული სურები მხოლოდ მოწონებას იმსახურებენ

# ბიჭების სამქრო

გოგონების მიერ ჩამოსხმული და შემდეგ ვეებერთელა ღუმელებში გამომწვარი კერამიკული სკულპტურები, სურები, ვაზები, დოქები და სხვა მრავალი ნაწარმი სამხატვრო სამქროში გადააქვთ მოსახატავად. აქ კი, გამოცდილი მხატვარ-შემსრულებლების გვერდით მომავალი ოსტატებიც ფუსფუსებენ.

აგერ, თენგიზ მათიაშვილიც. მას ნელი მელიქიძის ჩამოსხმული ფაიფურის ქანდაკება უჭირავს ხელში და წვრილი ფუნჯით გულდასმით, დაკვირვებულად გამოჰყავს პირველი კონტურები. კომბინატში მოსვლის პირველ დღეებში თენგიზი რომ მარცხს განიცდიდა და ამხანაგების დაცინვას იმსახურებდა, ახლა ეს ამბავი ყველას დაავიწყდა და ბიჭუნას ქებით თუ მოიხსენიებენ. მის მიერ მოხატული სურები, ბოლომოქნეული კალმახები და სხვა, აქმისაღმი თენგიზის კარგ დამოკიდებულებაზე მეტყველებენ. იქით ზაურ სხირტლაძე ფუსფუსებს. თავის მიერ მოხატულ დოქს ათვალიერებს და კმაყოფილებით ეღიმება. ცოტა მოშორებით ნიკოლოზ იერემინი საქმიანობს. მას ქართული დოქი აქვს მოსახატავი. აი, მან ვაზის ფურცლების ხატვა დაამთავრა და ახლა მტევნებს მისწვდა. ცოტაც და დოქი მზად იქნება.

მზრუნველობით დასტრიალებს თავის მოწაფეებს აბესალომ ბარამიძე. აი, მან ნუგზარ ხარიაშვილის შეწუხებული სახე შენიშნა: ჩანდა, რომ ბიჭუნას რაღაც უჭირდა.

— რაო, ნუგზარ, რა გაგჭირვებია? -გამოეხმაურა მასწავლებელი და ნუგზარს მიუახლოვდა.

— პატივცემულო მასწავლებელო!—დაიწყო მან.—აი, ამ ჭიქას მინდა ჩემი სახელი და გვარი დავაწერო, კალამი კი არ მემორჩილება. მასწავლებელს გაეღიმა, და მერე მიზეზი აუხსნა.

— გოგოებო, სადღა მიდიხართ?—მოისმა ხმა კარებიდან.—ბიჭების სამქრო აქ არის.

ომარ ოთარაშვილმა ხმაურს ყური მიუგდო. თანაკლასელების ხმა შეიცნო და პავლე ქორქოლიანთან ერთად გოგონებს შეეგება.

— აბა, ჯერი თქვენზეა, მხატვრებო,—სიტყვა შეაგება ციალა მლებრიშვილმა.—მიიღეთ ეს ახალი ნაწარმიც და თქვენებურად კარგად მოხატეთ.

სწავლობენ და შრომობენ 88-ე სკოლელები, ეუფლებიან კერამიკოსის საინტერესო პროფესიას.

**თ. სახაროვი**

ფოტოები—ავტორისა



ეს კი ბიჭების სამქროა. ქართული ვარაყი, ნაყში და ჩუქურთმა აქ ექსოვება გოგონების მიერ ჩამოსხმულ ფაიფურს.



მზრუნველობით დასტრიალებს თავის მოწაფეებს აბესალომ ბარამიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა
4797

# ორი ქართული თქმულება



## რატომ არ სძინავს ღამით ბულბულს

ნაზია ბულბული, ნაზი და ლამაზი. ღამღამობით საამოდ გალობს, სმენას ატკბობს. გინდა სულ უსმინო, უსმინო...

ბულბული დადებს ხოლმე კვერცხებს თავის პაწია ბუდეში, მაგრამ, თუ ვინმემ მის კვერცხებს ხელი შეახო, გული დაეჩაგრება, გაწყრება და გაფრინდება სადმე შორს, აღარც ბუდეს მიეკარება და აღარც კვერცხებს.

იციან ადამიანებმა ბულბულის ეს ხასიათი და, ამიტომაც, როდესაც მის ბუდეს სადმე ნახავენ, ხელს არ ახლებენ, ეშინიათ არ გაწყრესო ბულბული და იმ ადგილს არ მოშორდეს, არ მოგვაკლდესო მისი საამო გალობა.

მართლაცდა, რა ფაქიზია ბულბული...

აი, ბეღურას რამდენიც გინდა უქნიე ხელი, ის თვალიდან არ დაგეკარგება, იქვე ცოტა მოშორებით გადაფრინდება და მაინც ახლოს იქნება შენთან.

ბულბული კი ბუტიაა, დამდურება იცის, მერე არავითარ შემთხვევაში გული აღარ მოუბრუნდება. გაგშორდება, იმ არე-მარეს აღარ გაეკარება.

მაგრამ, ვისაც კი მისი ხმა სმენია, ყური მოუკრავს მისი გალობისათვის, როგორ გაბედავს მის გაჯავრებას! პირიქით, სულგანაბული ელიან შემოღამებას, სადაცაა ბულბული დაგვატკბობსო, და ამ მოლოდინში ყური ტყისკენ თუ ბაღ-ვენახებისკენ აქვთ მიპყრობილი.

მაგრამ, რატომ არ სძინავს ღამით ბულბულს?..

ერთ გაზაფხულზე, როდესაც ბუნება იღვიძებდა, იფურჩქნებოდა ველზე ყვავილი, ბაღში—ვარდები, ვენახში—ვაზი, თურმე ბულბულს, გალობით დაღლილს და უძილოს, ვენახში, ახლადშეფოთლილ ვაზის ყლორტებში ჩასძინებოდა. ყლორტებს პწკალი გაზრდოდა და შემოხვეოდა, რომ იგი—ნორჩი და სათუთი, ქარს არ მოეტეხა.

...მძინარე ბულბულს ღამით ყელზე ვაზის პწკალი შემოხვეოდა.

ღამის სიგრილით შეთრთოლებულს, როდის-როდის გაღვიძებია და შემკრთალა, შეშინებულა... ისე უგრძვნია, თითქოს თასმებით ჰკრავენ და ატყვევებენო.

უცდია — ვიგალობებო, მაგრამ ამაოდ...

გარიჟრაჟამდე უბრძოლია ლამაზ მგალობელს და ტყვეობიდან თავი ძლივს დაუღწევია. ვინ იცის, უფრო გვიან რომ გაჰღვიძებოდა, დაეხრჩო კიდეც იმ პატარა ვაზის პწკალსა.

— «ღამით არასოდეს აღარ დავიძინებო» — უთქვამს მაშინ ბულბულს.

და მართლაც, მას შემდეგ, ღამღამობით არ სძინავს ბულბულს. იგი გალობს და გალობს, ვიდრე თეთრად არ შემოათენდება: გარიჟრაჟზე კი, როდესაც მზის პირველი სხივები ფოთლებს გაეთამაშება, მიყუჩდება და მიეძინება.

## რად აფარებს თავს მერცხალი სახლს

მერცხალი ყველას ერთნაირად გვიყვარს. განსაკუთრებით გვიხარია, როცა ის თბილ ქვეყნებიდან ბრუნდება ჩვენში.

მას ხომ კუდმაკრატელასაც ეძახიან! «თეთრგულა და ყელწითელა, შავზურგა და უცნაური»...

—ჭრრრ, ჭრრ—შემოჰკრავს ფრთას და სახლში თავისუფლად შემოფრინდება.

რატომ აფარებს თავს მერცხალი სახლს?

ძველად, თურმე, შეკამათდნენ მერცხალი და ზუზუნა კაზარა. კაზარა ფუტკრის მსგავსი მწერია, სხეულის ერთ ადგილზე მოყვითალოა, ფრთები შავი აქვს, მოზრდილია, საშიშია დასაჭერად; როცა ფრინავს, შემზარავი ხმა აქვს: ზზზზზ... შემოფრინდება სახლში, ფანჯრის მინებს ეხეთქება, ძირს დაეცემა, აფრინდება და ისევ და ისევ გზაგაუკვლევი ზუზუნებს და ზუზუნებს...

აი, სწორედ ამ ზუზუნა კაზარას უთქვამს მერცხლისათვის: ნეტავ ადამიანმა მიწაზე იხოხოს, გველმა კი იაროსო!

მერცხალი გაჯავრებულა და უთქვამს:

— არა, ადამიანმა იაროს, გველმა იხოხოსო...

კაზარისა და მერცხლის საუბარს თურმე ასპიტი გველი ისმენდა.

ვერა და ვერა, მერცხალმა ვერ დაითანხმა კაზარა და, გაბოროტებულმა, მოტყუების მიზნით, მოღალატეს უთხრა: კარგი, კაზარავ, რა-



დგან ასე გინდა, მოდი ენა გამოყავი და თაფლს წაგისვამო.

კაზარას გაეხარდა, იფიქრა მერცხალი დავითანხმეო, და ენა გამოუყო. მერცხალმა უმალ ცხრაჯერ ჩაჰკრა ნისკარტი, კაზარას ენა ცხრად გაეყო და მის მერე ზუზუნებს ასე უშნოდ: ზზზზზ...

ასპიტი გველი კი, რომელიც ამ საუბარს უსმენდა, გამოექიდა მერცხალს, დაეწია, გაუძვრა კუდში და. მის მერე მერცხლის კუდი ორად დარჩა გაყოფილი. თვითონ მერცხალი კი გველმა ვერ დაიჭირა, მაგრამ დაემუქრა:

— მაინც დაგაზიანებ! გაჩვენებ სეირს, მიწაზე ხოხვა რომ მისურვე! ადამიანმა რა გაგიკეთა ისეთი, რომ მისთვის მხოლოდ კარგსა ნატრობ?

მერცხალმა ამაზე მიუგო:

— გველო, ვერაფერს დამაკლებ, ადამიანის სახლის ჭერზე გავიკეთებ ბუდეს.

გველი კვლავ დაემუქრა მერცხალს.

— შვილებს დაგიჭამ.

მერცხალმა ახლა უფრო მტკიცედ და ხმამაღლა უთხრა:

— მე ადამიანის ბინაში იმიტომ გავიკეთებ ბუდეს, რომ ვერ მომეკარები და ბარტყებიც გადამირჩებიან!

ჩაწერა **ნინო იმერლიშვილმა**

ნახ. დ. ზარაფიშვილისა



# იცით თუ არა?

რომ პარაგვაელმა სპორტსმენმა 105 საათი და 18 წუთი დაჰყო წყალში? ეს არის „აბსოლუტური მსოფლიო რეკორდი“ ამ იშვიათ „სპორტის სახეობაში“. უწინ ეს რეკორდი ეკუთვნოდა არგენტინელ კანდიას. რომელმაც 100 საათი გასძლო წყალში.

რომ მსოფლიოში ყველაზე პატარა წიგნი ახლახან შეიძინა კონგრესის ბიბლიოთეკამ? მისი ზომა 0.62 სანტიმეტრია, მასში მხოლოდ 11 გვერდია.

რომ დედამიწის ზედაპირზე ამჟამად ლაპარაკობენ 100 სხვადასხვა ენაზე? ამაში არ შედის დიალექტები. მაგალითად, აფრიკაში ათასამდე დიალექტია.

რომ კორპი იმიტომ ცურავს. რომ მასში ბევრი ჰაერია. დიდ სიღრმეზე მას ვერ იყენებენ, რადგან წნევის გამო ჰაერი იდევნება. კორპი წყალზე მძიმე ხდება და იძირება.

რომ რძე მარტო მეცხოველეობის პროდუქტი როდია? კაცობრიობის თითქმის **ნახევარი** მცენარეულობისაგან დამზადებულ რძეს სვამს. ასეთი რძე საკმაოდ ნოყიერია და ძროხის რძეზე არანაკლებ გემრიელი.

რომ ცხელ და ტროპიკულ ქვეყნებში რძის მისაღებად იყენებენ ჩვეულებრივად პალმისა და ქოქოსის წვენს. ანდა ზეთისხილს? მცენარის რძე ისევე მდიდარია ცილითა და ცხიმით. როგორც ცხოველის რძე.

რომ მკვდარი ზღვის ლიტრა წყალი თითქმის 1.200 გრამს იწონის. ე. ი. 200 გრამით მეტს, ვიდრე სუფთა წყალი? ამიტომ არის. რომ ადამიანს გაუნძრევლად შეუძლია ამ ზღვის ზედაპირზე ყინულივით ცურაობა. ერთი კუბური მეტრი ზღვის წყალი შეიცავს 3,5 კგ. მარილს. ამას გარდა მასში არის აგრეთვე სხვადასხვა მინერალები და ცოტაოდენი ოქროც კი.

რომ 1000 ატმოსფერული წნევის ქვეშ წყლის მოცულობა 5 პროცენტით იკლებს? ზღვაში რომ წნევა არ იყოს, წყლის დონე დედამიწაზე 30 მეტრს აიწევდა.

რომ რკინას. ისევე როგორც მინას. შეუძლია გაატაროს სინათლე? ამ ლითონის მიკრონზე ნაკლები სისქის ფურცელი საკმაოდ გამჭვირვალეა.

რომ ყვავილთა ზოგიერთ სახეობაზე გავლენას ახდენს სხვა ყვავილთა მეზობლობა? ერთმა ჰოლანდიელმა მეყვავილემ აღმოაჩინა, რომ ჰელიოტროპი და მიხაკი ერთ თაიგულში დიდხანს არ ჭკნებიან. ხოლო ვარდი და რეზედა ერთიმეორეს ვერ იტანენ და მალე ჭკნებიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ჩინებულად ძლებენ.

რომ ცხოველს სახელი „კენგურუ“ გაუგებრობის ნიადაგზე შეერქვა? ერთხელ ევროპელი მეზღვაურები მოხვდნენ ავსტრალიაში. მათ შეამჩნიეს უცნობი ცხოველი და ადგილობრივ მცხოვრებლებს ჰკითხეს: „რა ჰქვიანო?“ „კენგურუ“—გაისმა პასუხად. რაც ავსტრალიურ ენაზე ნიშნავს: „არ მესმის“. ევროპელებს კი ეს სიტყვა ცხოველის სახელი ეგონათ და ასე გაავრცელეს.

რომ კორსიკა „მოხეტიალე კუნძულია“? როგორც ახლახან ჩატარებული გაზომვით დადასტურდა. ამ უკანასკნელი ოთხმოცი წლის მანძილზე მან ათი-თორმეტი მეტრით გადაიწია აღმოსავლეთისაკენ. სპეციალისტები ამ მოვლენას თვით კუნძულის მასივში არსებული ტექტონიკური ძალების მოქმედებით ხსნიან.

ფანტაზიასაც აქვს თავისი საზღვრები. რაზე არ გვიოცნებია ჩვენს ბავშვობაში, რას არ მივწვდომივართ ერთი ხელით მაინც: გვიჭენებია ხის ბედაურები, გვიფრენია მფრინავი ხალიჩებით, სკამზე გადამჯდართ—გვიტარებია სწრაფმავალი ორთქლმავლები, გაგვიმართავს თეატრალური წარმოდგენები... მაგრამ კინოსათვის მიმსგავსებული რამ არასოდეს გაგვიკეთებია—იგი სადღაც ძლიერ შორს იდგა ყველაზე მიუწვდომელ სამყაროში.

„ბნელში ამულავებენ, ბნელში ბეჭდავენ, ბნელში აჩვენებენ. ერთი სიტყვით, ბნელი საქმეაო"—იტყოდნენ ხოლმე კინემატოგრაფიის შესახებ და ამ ხუმრობით ნათქვამ სიტ-



ასე ჩაეყარა მშობლიურ ფილმს საფუძველი. მრგვალ მაგიდასთან თავი მოიყარეს სცენარისტებმა, ოპერატორებმა და ასისტენტებმა. გზა დაგვილოცნია, მეგობრებო!

# „პიონერ-ფილმი"

ყვებს, რა თქმა უნდა, თავისი საფუძველი ჰქონდა. კინო დაიბადა თანამედროვე ტექნიკის და მეცნიერების განვითარების შედეგად. კინემატოგრაფია შეიცავს მრავალ ტექნიკურ მიღწევებსა და აღმოჩენებს ფიზიკისა და ქიმიის დარგში. პირველი ოპერატორები სრულ საიდუმლოებაში ინახავდნენ ყოველივეს, რაც მათ საქმიანობას ეხებოდა და, უმეტესად, განგებაც კი აბნევდნენ ზოგიერთ ცნობისმოყვარე ადამიანს, რომელსაც რაიმე ინტერესის მსგავსი გაეღვიძებოდა კინოტექნიკის მიმართ.

გადიოდა წლები. დღითიდღე იზრდებოდა კინემატოგრაფიის განვითარების მასშტაბები, იზრდებოდა კინემატოგრაფიის, როგორც ხელოვნების, ავტორიტეტი. ჩვენს ქვეყანაში კინო პრიმიტიული მდგომარეობიდან ხელოვნების ერთ-ერთ სახედ იქცა. „ყველა ხელოვნების დარგთა შორის, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის კინო"—თქვა დიდმა ლენინმა. ვ. ი. ლენინის ამ სიტყვებში გამოთქმულია ჩვენი პარტიის დამოკიდებულება კინემატოგრაფიისადმი. კინოხელოვნების პოპულარობის ზრდასთან ერთად გაიზარდა მისდამი ინტერესი ხალხის ფართო წრეებში. დიდია სურვილი—აიღო ხელში აპარატი და გადაიღო ის, რაც ასე აღელვებს და ხიბლავს ჩვენს გულს, მაგრამ... მაგრამ ვის არ უწერია ლექსი ისე, რომ არ ყოფილა პროფესიონალი პოეტი? ამისათვის მას ჭირდებოდა ქაღალდი და მელანი; ვის არ უხატავს ისე, რომ არ ყოფილა პროფესიონალი მხატვარი? ამისათვის მას ჭირდებოდა ფანქარი და ფუნჯი საღებავით; ვის არ უმღერია ისე, რომ არ ყოფილა მომღერალი?.. მაგრამ, როგორ გადაიღოს კინო ადამიანმა თუ კი მან არ იცის გადაღების ტექნიკა და არა აქვს აპარატი? ჩვენი, საბჭოთა კინოოსტატები, რომლებისთვისაც უცხოა შიში კონკურენციისა, მალვა პროფესიონალური ცოდნისა და გამოცდილებისა, სიამოვნებით გადასცემენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ყველას, ვინც კი ამას მოისურვებს. ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, საქართველოში, ფართოდ გაიშალა კინომოყვარულთა მოძრაობა. „პიონერ-ფილმი!"—ასე ეწოდება იმ კინომოყვარულთა სტუდიას, რომელიც ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კინოკაბინეტთან ჩამოყალიბდა.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ფართოდ არის ცნობილი ჩვენს კავშირში, როგორც ბავშვთა აღზრდის შესანიშნავი კერა. მის ნათელ და კეთილმოწყობილ კაბინეტებში ჩვენი ნორჩი თაობა იმაღლებს ფიზიკურ, ტექნიკურ და მხატვრულ დონეს. კინემატოგრაფია, როგორც უაღრესად სინთეტური ხელოვნება, ერთ

მთლიანობაში აერთიანებს სხვადასხვა დარგს. კინონაწარმოები არ შეიძლება შეიქმნას, თუ არ იქნებიან ლიტერატორები, რომლებმაც უნდა შექმნან სცენარი, თუ არ იქნებიან მხატვრები, რომლებმაც უნდა დახატონ დეკორაციების, კადრების და კოსტუმების ესკიზები, თუ არ იქნებიან კომპოზიტორები, რომლებმაც უნდა დასწერონ ფილმის მუსიკა, თუ არ იქნებიან მსახიობები, რომლებმაც უნდა ითამაშონ როლები... ადვილი მისახვედრია, რომ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, სადაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხელოვნების სახეთა კაბინეტები არის, სადაც უკვე დიდი ხანია წარმოებს ენერგიული მუშაობა ნორჩი ტალანტების გამოსავლინებლად და, პლუს კინოაპარატი თავისი ფირით, რომლის შეძენა დღეს განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს (განსაკუთრებით ვიწრო ფირის კინოაპარატისა), იყო ყველა პირობა კინომოყვარულთა ფილმის გადასაღებად. სასახლის კინოკაბინეტის ხელმძღვანელის—გულბაათ აბელიშვილის მიერ დაწყებულ საქმიანობას დიდი სიხარულით გამოეხმაურნენ მოსწავლეები. შეიქმნა სცენარისტების ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ: მანანა და ქეთინო აბრამიშვილები, ნანა თარგამაძე, გურამ კაშმაძე, ჯემალ ნინუა და ზეზვა ღუღუნაშვილი. ნორჩმა სცენარისტებმა გადაწყვიტეს დაეწერათ სცენარი მშობლიური სასახლის ცხოვრების შესახებ, მკაფიოდ ეჩვენებიათ მოსწავლის ცხოვრება ოჯახში, სკოლაში, სასახლეში, პიონერთა ბანაკებში... როგორი იქნება მომავალი ფილმი? მხატვრული თუ დოკუმენტური? მხატვრულ-დოკუმენტური, რვა ნაწილად—ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სცენარისტთა ჯგუფმა და შეუდგნენ საქმიანობას. იწერებოდა ეპიზოდები, იკითხებოდა საერთო სხდომაზე, შეჭქონდათ შესწორებები, კვლავ იწერებოდა. მათ მალე რეჟისორთა და ოპერატორთა ჯგუფიც წამოეშველა. მუშაობაში ჩაება მხატვარიც—მეათეკლასელი თამაზ ხუციშვილი და მე-5 კლასის მოსწავლე, 12 წლის კომპოზიტორი მერაბ ოდიშარია. როდესაც საერთო სარედაქციო სხდომაზე სცენარი ძირითადად მოწონებული იქნა, რეჟისორთა ჯგუფი, რომელშიაც შევიდნენ მეცხრეკლასელები თინათინ ყალიჩავა, ნანა სავინსკაია, თამარ აბრამიშვილი და მერვეკლასელი თამაზ დარახველიძე, შეუდგა მსახიობთა ძიებას. საჭირო იყო მოეძებნათ სამი კუდრაჭა, მახვილგონიერი და სიცოცხლით სავსე ბავშვი: გიგლა, ნანი და ქეთინო. სცენარის სიუჟეტის მიხედვით, ეს ბავშვები გამოიპარებიან სკოლიდან და შემთხვევით მოხვდებიან პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში (მათ მოხიბლავთ პატარა შველი, რომელიც დასეირნობს ბაღში და მის დასაჭერად გადაძვრებიან სასახლის ეზოში). ბავშვებს ჩაითრევს სასახლის მრავალფეროვანი და მჩქეფარე ცხოვრება. სასახლე დადებით როლს ითამაშებს გიგლას, ნანის და ქეთინოს დამოკიდებულებაში სკოლისა და სწავლის მიმართ. ამ სამი ბავშვის ცოცხალი ხასიათი, სავსე ათასგვარი წინააღმდეგობითა და გულუბრყვილობით, სული და გულია ნორჩი სცენარისტების მიერ შექმნილი სცენარისა. რეჟისორებმა ამ როლების შესასრულებლად „მოიწვიეს მსახი-



ჩვენი ფილმის მთავარი გმირები—მარინე ჯოგოლაშვილი და მერი ცერცვაძე ცხოვრებაშიაც დამეგობრდნენ.



მერაბ ოდიშარიამ საბოლოოდ დაიმკვიდრა ნორჩი კომპოზიტორის სახელი: მან ხომ მშვენიერი მუსიკა დაწერა ფილმისათვის.



იცნობდეთ—«პიონერ-ფილმის» მხატვარი თამაზ ხუციშვილი. მან ამ ფილმით დაიწყო თავისი შემოქმედებითი გზა.

ობები“: მეშვიდეკლასელები გრიგოლ მალანია (გიგლა), მერი ცერცვაძე (ქეთინო) და მესამეკლასელი მარინე გოგოლაშვილი (ნანი). ახლა, როდესაც ფილმის დიდი ნაწილი უკვე გადაღებულია, შეიძლება ითქვას, რომ ნორჩი მსახიობები ღირსეულად ამართლებენ რეჟისორთა იმედებს.

მაგრამ, ვიდრე გადაღებებზე შევჩერდებოდეთ, ar შეიძლება არ ვთქვათ იმ თრთოლვაზე, რომელიც გამოიარეს მომავალი ფილმის ოპერატორებმა: მეათეკლასელებმა გრიგოლ ჩიგოგიძემ და გურამ კაშმაძემ, მერვეკლასელმა ზურაბ ჭიჭინაძემ. ბიჭებს იმ გარემოებამ უშველა, რომ მათთვის ფოტოსაქმე უცხო არ იყო. გადაღებაში მათ გვერდში ამოუდგა ნიჭიერი მხატვარი თამაზ ხუციშვილი, რომელიც ოპერატორებთან ერთად არჩევდა გადასაღებ ადგილებს, ხატავდა მომავალ კადრებს, არჩევდა სათანადო კომპოზიციას. გადაღებული მასალების ნახვის დროს ჩვენ სიხარულით აღმოვაჩინეთ, რომ არა ერთი და ორი კადრი გადაღებულია თამაზის მიერ წინასწარ დახატული ესკიზების მიხედვით.

როდესაც კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკები სტუმრად ვიყავით „პიონერ-ფილმის“ ენთუზიასტებთან, ჩვენ წაგვიკითხეს სცენარი, გვიჩვენეს ესკიზები და გადაღებული მასალები, მოგვიყვნენ რეჟისორული ჩანაფიქრის შესახებ, და ბოლოს, გვთხოვეს, მოგვესმინა მომავალი ფილმის მუსიკა. ინსტრუმენტთან მივიდა პატარა ბუთხუზა ბიჭი, —11 წლის მერაბ ოდიშარია.

— რა დავუკრა?—იკითხა მერაბმა.

— დავიწყოთ თავიდან, უვერტიურით, —უპასუხა კინოკაბინეტის ხელმძღვანელმა. ჩამოვარდა წუთიერი პაუზა... მერაბი ჩაფიქრდა და შემდეგ რწმენით შეუდგა საქმეს... უვერტიურას სხვა ადგილები მოჰყვა: ბავშვების გაპარვა, სასახლე, არდადეგები, ავადმყოფობა, კიდევ სკოლა, ზეიმი... ფინალი. და ყოველივე ეს იყო მელოდიური და სავსე ტემპერამენტით. მერაბ ოდიშარიას, რომელიც დღეს მეხუთე კლასის მოსწავლეა, დაწერილი აქვს მთელი ფილმის მუსიკა, რომელიც მისი მეგობრების მიერ გადაღებულ ფილმს დიდ სამსახურს გაუწევს.

ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ბევრ ნიჭიერ ბავშვს მიუღია საბრძოლო ნათლობა. ვიმედოვნებთ, რომ მომავალი კადრების შერჩევაში სასახლე ქართულ კინემატოგრაფიისთვისაც სასარგებლო საქმეს გააკეთებს. კინომოყვარულთა სტუდიის, „პიონერ-ფილმის“ ენთუზიასტებს, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობის ჩატარება მოუხდებათ ფილმის დასამთავრებლად. რა ვუყოთ, რომ მათ მუშაობაში ჯერ კიდევ აქვთ შეცდომები, ბევრი რამ სწადიათ თქვან კინოენაზე და ეს ყოველთვის როდი გამოუდით—ამისათვის საჭიროა დაუცხრომელი მუშაობა და სწავლა. სასიხარულოა, რომ სწორედ შრომას ჩვენი მოსწავლეები არ ერიდებიან; სასიხარულოა, რომ დღეს ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობს კიდევ ერთი კინომოყვარულთა სტუდია — „პიონერ-ფილმი“.

რ. ჩხეიძე,
კინორეჟისორი.



ოპერატორებმა აპარატი გადასაღებად მომართეს. მათზე არანაკლებ ღელავს სცენარის ავტორი—მანანა აბრამიშვილი.

→




## რაკეტას სტრატოსტატიდან უშვებენ

რაკეტის აშვების დროს, როგორც ცნობილია, ძალის დიდი ნაწილი ჰაერის ქვედა, შემჭიდროებული ფენების დასაძლევად იხარჯება. ეს დაბრკოლება რომ თავიდან აეცილებინათ, ამერიკაში პატარა ოთხსაფეხურიანი რაკეტა სტრატოსტატიდან აუშვეს.

სტრატოსტატი პოლიეთილენისაგან არის დამზადებული, დიამეტრი 61 მეტრი აქვს, მოცულობა 106.000 კუბური მეტრი, წონა—სულ რაღაც 680 კილოგრამი. ჰელიუმის მსუბუქი გაზით სავსე სტრატოსტატი 36 კილომეტრის სიმაღლეზე სწევს 900 კილოგრამიან რაკეტას, საიდანაც იგი სტარტს იღებს.



## ქანქარა ვაგონი

სარკინიგზო ტექნიკა საფრანგეთში მაღალ დონეზე დგას. 1954 წლიდან სისწრაფის ყველა რეკორდები რკინიგზაზე საფრანგეთს ეკუთვნის. ბორდო-დაქსის ხაზზე ელექტრომავალმა ამას წინათ 330 კილომეტრი სისწრაფე განავითარა. მაგრამ დიდი სისწრაფე მგზავრთათვის თავისებურ ხელის შემშლელადაც იქცა. რადგან მოსახვევებში ცენტრიდანული ძალა ისეთი დიდია ხოლმე, რომ მგზავრები თავიანთ ადგილებიდან ცვივიან.



ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად ფრანგმა ინჟინრებმა ააგეს ვაგონი, რომელიც მოსახვევებში ავტომატურად იხრება. უფრო სწორად, ავტომატურად იხრება მხოლოდ კორპუსი; იატაკი და საჯდომები კი ერთ მდგომარეობაში რჩება ისე, რომ მგზავრი თითქმის ვერ გრძნობს მოსახვევებს. ვაგონი 32 მგზავრს იტევს.

## მკურნალობა უოპერაციოდ

ყვავის, სირაქლემის ან ვეშაპის კუჭში რკინის საგნების პოვნა არავის აკვირვებს. მაგრამ ბევრი ალბათ არც კი დაიჯერებს, რომ ძროხის კუჭში ხშირად რკინის საგნების მთელი საწყობი აღმოჩნდება ხოლმე.

ძროხა საკვებთან ერთად ხშირად ყლაპავს ლურსმნებს,




რკინის მავთულის ნაწყვეტებს და სხვა. მჭრელპირიანი საგნები სჭრის ცხოველის კუჭის კედლებს, იწვევს მწვავე ტკივილს და მძიმე დაავადებას. ასეთი ავადმყოფობის მორჩენა ძალზე ძნელია, რადგან ძროხის ოთხ განყოფილებიანი კუჭი რკინის საგნების ნამდვილ მახეს წარმოადგენს. განსაკუთრებით ძნელია კუჭის ეგრეთ წოდებულ „ბადემდე" მიკვლევა, რომელიც დიაფრაგმის ახლოს მდებარეობს.

მაგრამ აი, ძროხის საყლაპავში ჩაუშვეს სპეციალური ზონდი—რეზინის გრძელი მილი, რომელსაც ბოლოზე მაგნიტური თავი აქვს მიმაგრებული. სხეულში მოხვედრილი მაგნიტი საჭმელთან ერთად ტრიალებს კუჭში და სულ რაღაც 15—20 წუთის შემდეგ რკინის საგნებით იხუნძლება. ამის შემდეგ მაგნიტის ამოღება ძნელი აღარ არის. ეს ახალი გამოგონება ბევრ რქოსანს გაადარჩენს დაავადებისა და სიკვდილისაგან.

## გიგანტი მანქანა

მიწის სამუშაოების დროს, როდესაც გრუნტის გადატანა ახლო მანძილზეა საჭირო, უმეტეს შემთხვევაში სკრეპერს ხმარობენ. იგი თვითონ თხრის, გადააქვს სლის მიწას, მერე ასწორებს და სტკეპნის მას. ამიტომ, არცაა გასაკვირველი, რომ მასზე ყოველწლიურად სულ უფრო მეტი მოთხოვნილებაა.

ამერიკის ერთმა ფირმამ გამოუშვა სკრეპერი, რომელიც 130 ტონა ტვირთს ზიდავს. დააჭერენ თითს პატარა ღილაკს და ეს უზარმაზარი მანქანა მძღოლის ნებაზე ამუშავდება. მანქანას ამოძრავებს ელექტროძრავა, რის გამოც სამართავი მექანიზმი ძალზე გამარტივებულია.





# თოვლის პაპა

**ქ. გოგიაშვილი**

ნახ. თ. სამსონაძისა

### პიესა 1 სურათად

მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი: ბებია, კოტე, ნუგზარი და თოვლის პაპა.

სცენა წარმოადგენს ოთახს. ბებია შვილიშვილებს აწვენს.



ბებია — ხომ დანაყრდით, მალხაზებო,
გოზინაყით, ნამცხვარით,
ეს გახსოვდეთ: ნუ დაწვებით
ღამით ძლიერ მაძღარი.

ნუგზარი — რატომ, ბებო?

ბებია — იმიტომ, რომ
აღარ დაგეძინებათ...
ლოგინში რომ ილუკმები,
კოტე, რა გეცინება?
კამფეტები შეინახე,
თორემ კბილებს დაგაძრობ!
(საათი რეკავს თორმეტჯერ.
ბებია პირჯვარს იწერს)
კარგი დილა გაგვითენე...
ღმერთმა მრავალს დაგასწროთ!
მოგილოცავთ ახალ წელსა
(კოცნის),
დამეზარდეთ დიდები,
(კოტეს) შენზე უმცროსს ნუ
აწვალებ,
ნუღარ აუხირდები.

ნუგზარი — თოვლის პაპას გიყიდიო,
რომ დამპირდი ბებია?

ბებია — უი, ბებო გენაცვალოს,
სულ არ დამვიწყებია!
პირჯვარს თუკი გადაიწერ,
რაა შენი მიზანი?
თოვლის პაპა გენატრება?—
ღმერთი გამოგიგზავნის!..
გოზინაყი უნდა დავჭრა,
როგორ შევრჩი აქამდი?
ახლა ტკბილად დაიძინეთ,
კარგად გნახეთ, ნახვამდის!
(გადის).

ნუგზარი — კოტე, გძინავს?

კოტე — არა, არა!

ნუგზარი — გაიგონე, რა მითხრა?

კოტე — ერთი ამას დამიხედეთ,
ღვთისმორწმუნე გამიხდა!

ნუგზარი — როგორია თოვლის პაპა?

კოტე — გრძელულვაშა კაცია,
საჩუქრებით მოსვლა უყვარს,
თეთრი ჯუბა აცვია.

ნუგზარი — რა იქნება, კოტე, ახლა
პაპა აქ რომ მოვიდეს?

კოტე — დაიძინე... პაპა არა,
იქნებ მეტიც მოგინდეს!
(მოისმის კაკუნი. ნუგზარი
ჩაიმალება)

ნუგზარი — გაიგონე? აკაკუნებს...

კოტე — ბიჭოს! ნეტავ ვინ არის?..
მიდი ნახე...

ნუგზარი — ჰე, რას ამბობ,
მძინარი ვარ, მძინარი!
(თავს მოიმძინარებს)

კოტე — ამ მშიშარას არ უყურებ!
(კაკუნი მეორდება)
ნუგზარ, თვალს არ გაახელ?!

ნუგზარი — (თავს გამოჰყოფს) მე მშიშარა,
შენ ვაჟკაცი,
მიდი, კარი გააღე.
(კაკუნი მეორდება, ისევ
ჩაიმალება)



კოტე — შენ გგონია, შე ბრიყვო, რომ
თოვლის პაპა მოვიდა?
(ადგება, კართან მიდის)

თოვლის
პაპა — (შემოდის) გამარჯობათ,
ყმაწვილებო,
გეახელით შორიდან.

ნუგზარი — ვაი, კოტე... (საწოლქვეშ
შეძვრება)

თოვლის
პაპა — სად მირბიხარ,
საწოლქვეშ რად მიძვრები...

ნუგზარი — შენ ნამდვილი პაპა ხარ, თუ...

თოვლის
პაპა — ტყუილი რად ვიქნები!

ნუგზარი — ხედავ, კოტე, ბებომ რაც თქვა,
ყველაფერი აგვიხდა...

თოვლის
პაპა — მე საჩუქრებს იმას მივცემ,
ვინც ყოჩაღად დამიხვდა!

ნუგზარი — მან ზეციდან იმგზავრა,
ღმერთმა გამოგვიგზავნა...
(კოტეს უჩურჩულებს)

კოტე — ზეცა არა... მოიცა,
პაპას დავაკვირდები.

თოვლის
პაპა — ჯანმრთელობას, მშვიდობას,
დღეგრძელობას გპირდებით.

კოტე — ეს ოინი ნამდვილად
ბებოს მოწყობილია,
თოვლის პაპას არა ჰგავს,
პატარა, ხმაწვრილია...
(პარიკს და წვერს ჩამოხსნის)

გოგი — (სიცილით) მოგიტანეთ
საჩუქრად
კურდღელიც და სპილოცა,
მეზობელი გოგია
თქვენ ახალ წელს გილოცავთ.

ფ ა რ დ ა



# პიონერული ამბები საზღვარგარეთიდან

## საერთაშორისო პიონერულ ბანაკში



წელს უნგრეთის ქალაქ ჩილებერცის მახლობლად მდებარე პიონერულ ქალაქში გაიხსნა საერთაშორისო პიონერული ბანაკი. აქ 13 სხვადასხვა ქვეყნის მრავალმა პიონერმა გაატარა საზაფხულო არდადეგები.

ჩეხოსლოვაკელ პენიკს, ბულგარელ კრასომირას, მონღოლ გოგონას, პარიზელ მაკსს, სტოკჰოლმელ მაიკენდს და სხვებს დიდხანს ემახსოვრებათ აქ გატარებული პიონერული ზაფხული. ბანაკის არსებობის მთელი ხნის მანძილზე, აქ, პიონერულ მოედანზე, ენთო „მეგობრობის კოცონი", რომელიც პიონერებმა დაანთეს. ბანაკის დახურვისას ცეცხლი ჩააქრეს: მაგრამ იმ მეგობრობის გრძნობას, რომელიც უნგრეთში გაღვივდა, ვერავითარი ძალა ვეღარ ჩააქრობს.

## „5+1"

უნგრეთის სკოლებში მიმდინარე წელს მილიონ 300 ათასი მოსწავლეა ჩარიცხული, ამათგან, 150 სკოლის 21 ათასი მოსწავლე ისწავლის ლოზუნგით „5+1", ესე იგი ხუთი დღე სკოლაში და ერთი დღე წარმოებაში ან სოფლის მეურნეობაში.

## მშვიდობის პრემია პიონერებს



ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მშვიდობის დაცვის კომიტეტი ყოველწლიურად აჯილდოვებს იულიუს ფუჩიკის სახელობის მშვიდობის პრემიით ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო ნოვატორებს, ექიმებს, სწავლულებს, ხელოვნების მუშაკებს, პედაგოგებს და სხვებს, ვინც აქტიურად იბრძვის მშვიდობის განმტკიცებისათვის მთელ მსოფლიოში. ამის შესახებ ბევრმა იცის. მაგრამ წელს რომ პირველად გადაეცათ მშვიდობის დაცვის პრემია ჩეხოსლოვაკელ პიონერებს, ეს როდი იცის ყველამ.

ამა წლის 8 სექტემბერი ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული კავშირის ისტორიაში. ამ დღეს, პრაღის კაროლინას ძველებურ საუცხოო დარბაზში უფროსებთან ერთად პიონერთა დელეგაციაც იჯდა 100 ბავშვის შემადგენლობით. ამჯერად ისინი განა მარტო დაჯილდოებულთა მისალოცად მოვიდნენ, — მათ ჩეხოსლოვაკიის მილიონიანი პიონერული ორგანიზაციის სახელით მიიღეს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჯილდო, — იულიუს ფუჩიკის სახელობის მშვიდობის პრემია.

ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა მიმდინარე წელს გადაწყვიტა დააჯილდოვოს ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული კავშირის პიონერული ორგანიზაცია.

„მშვიდობა და მეგობრობა, თქვენთვის ლიტონი სიტყვები როდია, — ნათქვამი იყო დადგენილებაში. — ათეულ ათასობით წერილები იგზავნება თქვენგან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. იმისათვის, რომ თქვენ კარგად სწავლობთ, რომ ეხმარებით ახალგაზრდა რესპუბლიკას, რომ საკუთარი ნებით მუშაობთ ბრიგადებში, მინდვრებში და წარმატებებს აღწევთ მესაქონლეობაში, რომ ეუფლებით სპორტს, აქტიურად მონაწილეობთ თემურელთა საქმიანობაში, იმისათვის რომ სძლევთ ყოველგვარ სიძნელეებს — თქვენი პიონერული ორგანიზაციის სახელწოდებას მიემატა საამაყო ტიტული — „ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის პრემიის ლაურეატი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს მეჩაიე გოგონებს

**ი. გრიშაშვილი**



ჩაის ბუჩქებს დამღერიან,
მწვანე ოქროს ქედს და გორებს,
რა ყოჩაღად მუშაობენ!
რა დოვლათი დააგროვეს!

ჩაის ბუჩქი, ჩაის ვარდი,
ჩემს ქვეყანას აიმედებს,
მკრეფავების მარჯვე ხელი
მომაგონებს ნაზ-თეთრ მტრედებს.

აქ შრომაშიც შეჯიბრია,
ერთმანეთში სდებენ ნაძლევს:
—ჩვენს სუნოვან ჩაის რა სჯობს
გვაფხიზლებს და ძალას გვაძლევს.

სიცივეში ჩაი გვათბობს,
სიცხეში კი გულს გვიგრილებს...
ვაშა! ვაშა! ამ გოგონებს—
საქართველოს შრომის შვილებს!

## რატომ ვამბობთ ასე...

### ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადება

სხვა სიტყვებით—ყველაფერში და ყოველთვის წარმატება, იღბალი. ამ გამოთქმის ისტორია ძალზე საინტერესოა. ძველ დროს აღმოსავლეთში, შემდეგ კი დასავლეთ ევროპაშიც არსებობდა ცრუ მეცნიერება — ასტროლოგია. ასტროლოგები ამტკიცებდნენ, რომ ვარსკვლავთა მდებარეობის მიხედვით შეიძლება ადამიანის ბედის გამოცნობაო. მათ სპეციალური ცხრილები ჰქონდათ შედგენილი, სადაც ამა თუ იმ ადამიანის დაბადების დროს ვარსკვლავთა მდებარეობა იყო განსაზღვრული. ამ ცხრილით წინასწარმეტყველებდნენ აგრეთვე ომებს და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებსაც.

ასტროლოგები ამბობდნენ: ზოგიერთი ადამიანი ბედნიერ ვარსკვლავზე იბადება, რის გამოც ბედნიერება მისი მუდმივი თანამგზავრია, ხოლო ზოგნი უბედურ ვარსკვლავზე იბადებიან და მთელი მათი ცხოვრება უბედურებით არის სავსეო.

### მეცენატი

მეცენატი იმ ადამიანის ზოგადი სახელია, რომელიც ხელოვნებასა და მეცნიერებას ან ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეებს მფარველობს.

ეს სიტყვა წარმოიშვა მდიდარი რომაელი მოქალაქის—მეცენატის სახელისაგან. მეცენატი დიდად აფასებდა ხელოვნებას. მფარველობდა პოეტებსა და მხატვრებს, მათ შორის, გამოჩენილ რომაელ პოეტებს — ჰორაციუსსა და ვირგილიუსს.

### გედის სიმღერა

გადატანითი მნიშვნელობით—შემოქმედებითი შთაგონების უკანასკნელი აღმაფრენა, უკანასკნელი თავდადება. გმირობა: პოეტის, მხატვრის ან მეცნიერის უკანასკნელი ნაწარმოები. ეს გამოთქმა ბევრჯერ აქვთ ნახმარი ძველ ბერძენ მწერლებს—ეზოპესა და ესქილეს. რომაელ ორატორს ციცერონს და სხვებს. ხალხური გადმოცემით, გედი ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ — სიკვდილის წინ მღერის.

### მივედი, ვნახე, გავიმარჯვე

გამოთქმა იხმარება სწრაფ, გადამწყვეტ, გაბედულ მოქმედებათა გამოსახატავად; ხმარობენ აგრეთვე ირონიულად, დაცინვის მიზნითაც.

ეს სიტყვები ეკუთვნის განთქმულ რომაელ მხედართმთავარს და სახელმწიფო მოღვაწეს იული ცეზარს. ერთი მეგობრისადმი მიწერილ ბარათში, აღწერდა რა თავისი არმიის სწრაფ და იოლ გამარჯვებას პონტოს მეფე ფარნაკზე, იგი წერდა: მივედი, ვნახე, გავიმარჯვე (ვია, ვიდი, ვიცი).

# ბუნების მეგობრები



ელდარი სკოლიდან ბრუნდებოდა. სასოფლო საბჭოსთან შარაგზიდან გადაუხვია და ყანებს შორის მიმავალ ბილიკს დაადგა. ასე უფრო ახლოსაა სახლი. თანაც ვენახს შეავლებს თვალს—ღობე ხომ არ ჩატეხა საქონელმა. მიდის ელდარი და მიღიღინებს. უეცრად, ახლოს თოფმა იჭექა და ბიჭუნა შეაკრთო. არ ესიამოვნა ელდარს ეს ხმა, გულმა ცუდი უაზრა. არც მოტყუებულა: ბილიკი ჩაირბინა და მდინარის პირას, გოლიათი კაკლის ხისქვეშ ვალიკო კუპატაძეს მოკრა თვალი. ვალიკოს ცალ ხელში ორლულიანი სანადირო თოფი ეჭირა, მეორეში კი — აფართხალებული შაშვი. ფრინველს სისხლი მოწანწკარებდა... მონადირე კი კმაყოფილი ათვალიერებდა ნადავლს.

—ბიძია ვალიკო, ეგ რა ჩაიდინეთ?

მონადირე შემობრუნდა. წელზე შემორტყმულ ქამარზე კიდევ ორი მოკლული შაშვი ეკიდა თავდაყირა.

—რაო, გეცოდება?—ღიმილით შეეკითხა იგი მეზობლის ბიჭს.

— არ შეიძლება, ბიძია ვალიკო, ფრინველების დახოცვა, და ისიც შაშვისა.—აკრძალულია.



— ოჰო.— გაიკვირვა კუპატაძემ,— ერთი ამას დამიხედეთ. უკაცრავად, ბატონო. მე ჩემი სახლიკაცის ბიჭუნა ელდარი მეგონეთ, მაგრამ ალბათ შევცდი. იქნებ მიბძანოთ, ვისთან მაქვს საუბრის პატივი?

ელდარმა შეხუმრება არ იწყინა. პიონერმა დინჯად განუმარტა მონადირეს:

— დიახ, ბიძია ვალიკო, მე თქვენი მოგვარე ელდარ კუპატაძე ვარ, ბუნნების დაცვის პიონერული შტაბის წევრი.— ესა სთქვა და გზა განაგრძო.

მეორე დღეს ვალიკო კუპატაძისას წერილების დამტარებელმა ცისფერი კონვერტი მიიტანა. მასში პატარა, მაგრამ დიდხანს დასამახსოვრებელი ბარათი იდო: სოფელ ზემო საზანოს „ბუნების დაცვის პიონერული შტაბი“ აფრთხილებდა და შაშვზე ნადირობას უკრძალავდა ძია ვალიკოს...

ეს ამბავი ჯერ კიდევ თბილისში მოვისმინე: ნათესავებთან სტუმრად ჩამოსული მოხუცი კოლმეურნე მოუთხრობდა ახლობლებს და კეთილ მეზობლებს თანასოფლელი პიონერების შესახებ.

— ჰოდა. შენ ხარ ჩემი ბატონი. ისე დაატყვევს ამ ბავშვებმა სოფელს ხელი. რომ ეგრე უბრალოდ ვერც ჩიტს მოკლავს კაცი. ვერც ხეს მოჭრის. ამონალით და. ბადით მდინარეში თევზის ჭერაზე ხომ ფიქრიც ზედმეტია.—მერე სანამ ჩიბუხს პირთან მიიტანდა, ერთი მადლიანად დაილოცა:—ვაცხონე მაგათი მამა და მასწავლებელი!

მივიჩქაროდი. იმერეთი თვალწარმტაცად მოხატულ ხალიჩას ჰგავდა. ხევებში ჩახრიალები მოჩანჩქარებდნენ. ფერდობებს ზვრები და სიმინდის ყანებით შეფენოდა. ქარვისფერი შემოდგომა იდგა იმერეთში.

აი. სოფლის შუაგულში წამოჭიმული ვებერთელა ორსართულიანი შენობა — სოფელ ზემო საზანოს საშუალო სკოლა. მაგრამ. რატომ მიწყნარებულა დღეს საკლასო ოთახები? სად არიან წითელყელსახვევიანები?

ისინი მერხებს არ უსხედან. ნაშუადღევია და გაკვეთილების შემდეგ სახლში წასვლა. დანაყრება და ტანსაცმლის გამოცვლაც მოუსწრიათ. ახლა ვენახში არიან გაფანტული და სიცილ-კისკისის ხმები ავსებს იქა-



ურობას. ქარვისფერი მტევნებით ივსება კალათები. ყურძნის კრეფაში გაჯიბრებიან ერთმანეთს იამზე და გონირი გიორგაძეები, ელიკო შეყრილაძე. მზიური გველესიანი და ნინელი ბრეგვაძე. ბიჭებს უფრო მძიმე საქმე უკისრიათ: მძიმეა ყურძნით სავსე კალათა. მაგრამ იური ჩუბინიძე. ზურაბ ყვავაძე. ელგუჯა გიორგაძე



და მათი ტოლები აგრე ადვილად მოიღლებიან? ის კი არა, ნეტავ უფრო დიდი იყოს სასკოლო ვენახი. უფრო მეტი ესხათ ვაზებს. მარცვალი არ დარჩება გაუტანელი ვენახიდან! ხალისიანად შრომობენ მეგობრები. რთველია. პიონერული რთველი!

იქნებ თქვენ სხვა ამბებიც გაინტერესებთ ზემოსაზანოელი პიონერების ცხოვრებიდან? მაშ. ლამზირა მემანიშვილზე უკეთეს მეგზურსა და მოსაუბრეს ვერც ინატრებთ. ციცქნა გოგოა. მაგრამ ის. რაც მეორე საფეხურის პიონერმა უნდა იცოდეს და უნდა შეეძლოს. იცის და შეუძლია. ლამზირა ყველგან დაგატარებთ. ყველაფერს გატაცებით გიამბობთ.

ზემოსაზანოელებმა იციან, რომ მარტო სწავლით ვერ მოიპოვებ კარგი პიონერის სახელს. შრომა უნდა გეხერხებოდეს. გიყვარდეს. შრომისადმი სიყვარულს კი პიონერები ახლავე ეჩვევიან სკოლის დიდ. დამხმარე მეურნეობაში. ვენახს გარდა. მათ სიმინდის ყანა. კაკლის. ხურმის. ბლის და ტრიფოლიატის სანერგეები აქვთ. აგერ. ვენახის ბოლოს. ახალგაზრდა ხეების ტყე რომ მოჩანს. ისიც პიონერებმა გაახარეს.

ნორჩი ნატურალისტების ხელი ეტყობა შინაურ ცხოველებსაც: ცისანა ჩუბინიძე. იაზი ჭანტურიძე. გურამი. დოდო. ჯუმბერი და ხათუნა ღორებს უვლიან. მერე იცით. რამდენი ღორია სასკოლო ფერმაში? — თხუთმეტი. ზინა გიორგაძე. ჟუჟუნა და იზოლდა კუპატაძეები სოფელში ცნობილი არიან როგორც ნორჩი მეკურდღლეები. ნანული ბრეგვაძის რგოლი კი სამტრედეს დაუფლებია...

— გასულ წელს. დამხმარე მეურნეობამ სკოლას 23 ათასი მანეთი შემოსავალი მისცა; და ამაში დიდი ღვაწლი პიონერებს მიუძღვით.— სიამაყით ავსებს ლამზირას საუბარს უფროსი პიონერხელმძღვანელი ლეილა სამხარაძე.

ოლონდაც. დიდია ზემო საზანოს პიონერების წვლილი „სასკოლო ყულაბაში". მაგრამ ეს ხომ რაზმეულის მუშაობის ერთი მხარეა. პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხა პატარა ლენინელებისაგან ბევრს მოითხოვს. ზედა საზანოს პიონერები ხალისით მიჰყვებიან პიონერული მუშაობის ტალღებს და თანდათანობით იძენენ მუყაითი ადამიანისათვის დამახასიათებელ ჩვევებს. ისინი გულმოდგინედ აკრიალებენ საკლასო ოთახებს, ხალისით იღებენ მონაწილეობას „მწვანე საგუშაგოს" მუშაობაში. ხელმძღვანელობენ ოქტომბრელებს. სოფლის შარაგზის პირად რგავენ ხეებს... ამ ამბებს იქვე. სკოლაშივე შეიტყობთ. როცა პიონერთა ოთახში შეხვალთ. გაეცნობით გემოვნებით შედგენილ ალბომებს. დაათვალიერებთ ბუნების მოყვარულთა. ნორჩ ზოოლოგთა. ხელმარჯვეთა და სხვა კუთხეებს. აქ თითოეული ნახელავი უსიტყვოდ გიამბობთ. რა უნარი შესწევთ ზემოსაზანოელ პიონერებს.

სოფელს უყვარს თავისი ბავშვები. მოხუცი ნინო ჭანკვეტაძისათვის ახლო ახლობელი ადამიანები ანა რობაქიძე და თენგიზ ჭანკვეტაძე არიან. ეს პიონერები ფუსფუსებენ ყოველ ცისმარე დღეს ბებია ნინოს კარ-მიდამოში: მოაქვთ წყალი. ეზიდებიან ფიჩხს, ეხმარებიან ვენახისა და ყანის მოვლაში. მერი, ზურაბ და ირა ყვავაძეები კატუშა ჯაფარიძეზე ზრუნავენ. გოგონები სახლსა და ეზოს აკრიალებენ. ზურაბი შეშას ჩეხავს. საქონელს აწყურებს. და ვინ იცის. რა საქმე არ გამოჩნდება უვაჟკაცოდ დარჩენილ ოჯახში.

— პიონერები და ჩვენი კოლმეურნეები დიდი მეგობრები არიან. ისინი ზაფხულის პერიოდში ერთად შრომამ დააახლოვა. ძალიან ვემადლიერებით ჩვენს ბავშვებს.— ხშირად იტყვის ხოლმე 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკაკი ჩუბინიძე.

— ეს ყველაფერი კარგი. მაგრამ ნუთუ. ზემოსაზანოელ პიონერთა შორის არ არიან ჩამორჩენილები?—ისეთები. ვინც ზარმაცობენ სწავლაში, გაურბიან შრომას.

— ასეთი ახლა ჩვენთან არავინაა.— თქვა პიონერხელმძღვანელმა.

— არც იქნებიან.— უმატებენ თინა კახნიაშვილი და ზეინაბ გიორგაძე.

— განა აუცილებელია რომ იყოს? — ეშმაკურად კითხულობს ნინელი ბრეგვაძე.

მართალიაც, განა არ შეიძლება. იყოს რაზმეული ჩამორჩენილის გარეშე? შეიძლება. აი. ზემოსაზანოელთა პიონერული რაზმეული სწორედ ასეთია და, დაე, სხვებმაც იცოდნენ.

**გ. ჭელიძე**

ნახ. გ. რთინიშვილისა

# ბუნების კარი

## უძვირფასესი ფრინველები

— მსოფლიოში უძვირფასესი ფრინველებია თევზიყლაპია, ოლუში და ვარხვი. ამბობს შვედი მოგზაური ლორფ ბლომბერგი.

რით არიან შესანიშნავი ეს ფრინველები?

პერუს სანაპიროებთან, წყნარ ოკეანეში, განლაგებულია პატარ-პატარა კუნძულები, სადაც არასოდეს არ ეცემა წვიმის წვეთები და ამიტომ არავითარი მცენარეულობა არ ხარობს. მიუხედავად ამისა, ამ კუნძულების თითოეული ჰექტარი მსოფლიოში ყველა მიწაზე ძვირად ფასობს, აქ არის უდიდესი ბუდობები სახელგანთქმული გუანოსი, რომელიც ოცდათხუთმეტ მილიონ ფრთამდე თევზიყლაპიამ. ოლუშმა და ვარხვმა შექმნეს.

თავისი სიცოცხლის ათი წლის მანძილზე თევზიყლაპია 60 კილოგრამამდე ხმელ გუანოს აგროვებს. ნაწილი გამონაყოფისა ზღვაში ცვივა. მაგრამ ეს სასარგებლოა ზღვის ფსკერის მცენარეებისათვის. ამ მცენარეებით იკვებება თევზი ხამსა. ბოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, თევზიყლაპიას ძირითადი საზრდოა.

გუანო რომ უძვირფასესი სასუქია, უძველესმა პერუს მცხოვრებლებმა, მაღალი კულტურის მქონე ხალხმა—ინკებმაც იცოდნენ, ისინი ამ კუნძულებს ეროზიისაგან იცავდნენ, აგებდნენ იქ უბადლო სამაგრ კედლებს. მათ კარგად ესმოდათ გუანოს მნიშვნელობა და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ფრინველები დაეცვათ განადგურებისაგან. მას, ვინც ფრინველთა სიმშვიდეს ხელყოფდა, სიკვდილითაც კი სჯიდნენ.

ესპანელების მიერ პერუს დაპყრობისა და ინკების კულტურის განადგურების შემდეგ გუანოს მოხმარება თითქმის შეწყდა. მხოლოდ 1840 წელს, როცა გერმანელმა ქიმიკოსმა ლიბიხმა დაამტკიცა, რომ გუანო ოცდაცამეტჯერ მეტ აზოტს შეიცავს, ვიდრე სხვა სახის ნაკელი, გუანოს მოხმარება ერთბაშად გაიზარდა. იმ დროისათვის კი, პერუანის კუნძულებზე მრავალი საუკუნის განმავლობაში გუანოს იმდენად დიდი მარაგი დაგროვდა, რომ მისი ფენის სისქე ზოგგან 30 მეტრს აღწევდა. გუანოს ფასმა ელვის სისწრაფით იწყო ზრდა. ადამიანის ფეხმა და წალკატებმა ფრინველთა ათიათასობით ბარტყი, ბუდე და კვერცხები მოსპეს.



ამჟამად ფრინველთა დასაცავად შემოღებულია გამკაცრებული ზომები: აკრძალულია კუნძულების ახლომახლო წყლებში თევზის ჭერა, კუნძულების თავზე თვითმფრინავების ფრენა, ახლო გამვლელ გემებს აკრძალული აქვთ საყვირებით სარგებლობა. ფრინველთა უშიშროებას სპეციალური მცველები დარაჯობენ. ისინი სპობენ უზარმაზარ ფრინველებს — კონდორებს, რომლებიც ხანდახან ესტუმრებიან ხოლმე კუნძულებს. მეცნიერები სწავლობენ ფრინველთა ცხოვრების პირობებს და ჩვევებს. მათი ავადმყოფობის მიზეზებს.

გამოანგარიშებულია. რომ კუნძულებზე ფრინველთა საერთო რაოდენობა ოცდათხუთმეტ მილიონამდე აღწევს. უმრავლესობას შეადგენს თევზიყლაპია. დადგენილია, რომ თითო ფრინველი ყოველდღე 20—40 ცალ თევზს ყლაპავს. ასე რომ, ურიცხვი ფრინველთა ლაშქარი ხუთ ნახევარ მილიონ თევზს ნთქავს.

გ. ცინცაძე

## „წითელი ტალღები"

ეს მოხდა 1955 წლის ოქტომბერში მექსიკის ყურეში. ვერაკრუსის ნავსადგურის მცხოვრებნი არაჩვეულებრივი მოვლენის მოწმენი გახდნენ. ნავსადგურთან და სანაპიროს გაყოლებით 375 კილომეტრზე აუარებელი მკვდარი თევზი. მოლუსკი და სხვა დახოცილი ცხოველები დაგროვდა. გახრწნილი თევზის სუნმა ხალხს ხველება და ცრემლის დენა დააწყებინა. ნავსადგურში მომუშავენი იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ მუშაობა. ეს უბედურება 13 დღეს გაგრძელდა. ამავე დროს ზღვის თვალუწვდენელი სივრცეც მკვდარი თევზებით იყო მოფენილი.

მსგავსი ამბავი 1957 წლის ნოემბერში ტეხასის ნაპირებზეც მოხდა.

ეს უჩვეულო მოვლენა ბუნების ერთ-ერთ გამოცანას წარმოადგენს. მეცნიერების აზრით. იგი თბილ ზღვებში მცხოვრებ პაწაწინა მსუსხავი ცხოველის—გიმნოდინიუმ ბრევისის ძლიერი გამრავლების შედეგადაა გამოწვეული. ხელსაყრელ პირობებში დღემდე უცნობია. თუ რომელია ეს ხელსაყრელი პირობები, ეს უმარტივესი ცხოველი ფანტასტიური სისწრაფით მრავლდება. თუ ჩვეულებრივ 1 ლიტრ ზღვის წყალში ათასამდე გიმნოდინიუმია. იმ მოვლენის დროს. რომელსაც „წითელ ტალღებს" ეძახიან. მსუსხავი ცხოველების რაოდენობა 60 მილიონს აჭარბებს.

იმ ადგილას. სადაც ამ ცხოველების კოლონები თავს იყრიან. ზღვის ზედაპირი წითლად იღებება. აქედან წარმოიშვა სახელწოდებაც „წითელი ტალღები".

ჯერჯერობით გამოუცნობია. თუ რატომ იღუპებიან გიმნოდინიუმების მოშრავლების შედეგად სხვა ცოცხალი ორგანიზმები. ზოგიერთის ვარაუდით. თევზები იღუპებიან იმის გამო. რომ მათი ლაყუჩები ამ მსუსხავთა კოლონებით იფარება; სხვების აზრით კი, ზღვის ცხოველებს ხოცავს შხამიანი გაზები. რომლებსაც გიმნოდინიუმები გამოჰყოფენ.

ეს მოვლენა უმეტესად მექსიკის ყურეშია გავრცელებული. იგი შენიშნეს ინდიელებმა ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ. „წითელი ტალღების" დანახვა შეიძლება აგრეთვე პერუსა და და კალიფორნიის. აფრიკისა და იაპონიის სანაპიროებზეც. იაპონიაში ამ გამოუცნობ მოვლენას „მწარე წყალს" ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასწაულები

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დათვალიერება საბჭოთა კავშირის ვრცელ ტერიტორიაზე მოგზაურობას ჰგავს — ყველა რესპუბლიკას ჩამოუტანია აქ, რაც კი საუკეთესო გააჩნია.

გამოფენაზე იმდენი საინტერესო რამ არის, რომ შეუძლებელია ყველაფერს გასწვდე, ყველაფერს ჩაუღრმავდე. ჩვენი ჟურნალის მთელი ნომრები რომ გამოფენის აღწერისათვის დაგვეთმო, უკანასკნელი ექსპონატების აღწერას თქვენ მხოლოდ 2010 წელს, უკვე 65—70 წლის მოხუცები წაიკითხავდით.

შევიხედოთ ზოგიერთ პავილიონში.

მეცნიერებათა აკადემიის პავილიონი. მაღლა, ჭერქვეშ, მბზინავი ბურთია ჩამოკიდებული. ეს — პირველი საბჭოთა თანამგზავრია. აქვეა მეორე და მესამე თანამგზავრების მოდელები. პავილიონის ცენტრალურ დარბაზში უზარმაზარი, ნატურალური სიდიდის რაკეტის მოდელია. — ეს ის რაკეტაა, მთვარეს რომ გვერდით ჩაუარა და ახლა სადღაც, მზის სისტემაში დაჰქრის. ეს რაღაა? რაკეტა „კ. ვ. ვ." იგი არ ბრწყინავს, როგორც სხვა გამოფენილი საგნები. გვერდები გაშავებული, აქაიქ შედუღებული აქვს. მას უკვე მოუვლია „ცა და დედამიწა". 452 კილომეტრზე ასულა და უკანაც დაბრუნებულა. როგორც ჩანს, დიდი სისწრაფისა და ჰაერთან ხახუნის გამო, ფრენის დროს მისი კედლები გავარვარებულა და ამიტომ დაუკარგავს ბრწყინვალება. ასეთი რაკეტების საშუალებით გავიგეთ სწორედ ჩვენ, რომ ორას კილომეტრზე ჰაერის ტემპერატურა ათასი გრადუსია. თანამგზავრის გაშვებამდე არავინ იცოდა, გაუძლებდა თუ არა ცოცხალი ორგანიზმი რაკეტით ფრენას. ახლა უკვე ყველა დარწმუნებულია, რომ ცხოველები კარგად უძლებენ კოსმიურ ფრენას. აი, კაბინა, რითაც სამმა „სახელოვანმა" ოთხფეხა ცხოველმა შეასრულა თავისი ისტორიული მისია.

ერთ დარბაზში სულ პატარა, სიგარის მსგავსი რაკეტა დგას. მოწიწებით შესცქერიან დამთვალიერებლები მას. და განა ბევრმა იცის, რომ იგი კოსმიური ფრენის პირველი მერცხალი იყო? ეს 1933 წელს მოხდა, თუმცა რაკეტამ მხოლოდ ოთხ კილომეტრ სიმაღლეს მიაღწია. ახლა იგი თავის ახალგაზრდა თანამოძმეთა გვერდით ამაყად დგას, შერცხვენილი არ არის.

მანქანათმშენებლობის პავილიონი. რაღაც დაზგას ხალხი მისევია. დაზგა გამალებით მუშაობს, ჩარხავს, ქლიბავს, ხვრეტს. რამდენიმე წუთის შემდეგ მოდის მუშა და დამზადებულ დეტალს ხსნის, თან განმარტავს, რომ დაზგა ელექტროავტომატია - პროგრამული მართვით.

პროგრამულიო? ხომ არ გვეშლება? დეტალის დამზადების მთელი პროგრამა, თავიდან ბოლომდე მაგნიტოფონზეა ჩაწერილი. მაგრამ ჩაწერილია, რასაკვირველია, არა სიტყვებით, არამედ პირობითი სიგნალებით. ადამიანი მხოლოდ ლენტს ახვევს, დანარჩენს თვითონ მანქანა აკეთებს. მაგნიტოფონის იმპულსების საშუალებით დეტალი იჩარხება ხან ერთ, ხან მეორე მხრიდან, ხან სიგრძეში, ხან სიგანეში, და ასე ბოლომდე, სანამ საჭირო ფორმას არ მიიღებს. ეს მანქანა სამუშაოს ბევრად სწრაფად და ზუსტად ასრულებს, ვიდრე ადამიანი.

„რადიორეაქტიული სასწორი" — ქაღალდის და ქსოვილის ასაწონად. ესეც კიდევ ახალი საოცრება. — სასწორი, რომელსაც არაფერი სასწორისა არა აქვს. არის მხოლოდ ორი ცილინდრი, რომელთა შორის ქაღალდის ან ქსოვილის ერთ ფენას გაატარებენ. აქ რადიოაქტიური გამოსხივება ხდება და იწერება ფენის სისქე. ამის შემდეგ კი წონაც გამოირკვევა. ანდა, აგერ, მეორე მისი მსგავსი „სასწორი", დახურულ ჭურჭელში სითხის გასაზომი. მართლაცდა, რამდენ ზედმეტ შრომას აცილებს ეს მანქანები ადამიანს. სად აკეთებენ? ტალინში, ლიტვის სს რესპუბლიკაში.

სულ ახლო წარსულში, ყველა ცნობაში ამოიკითხავდით, ადამიანი ფეხით საათში 5 კილომეტრს გადისო, ველოსიპედისტი — 16-ს, მოტორიანი ნავი — 30-ს. ფეხოსანი, ცხადია, ახლაც ისეთივე სისწრაფით დადის. ველოსიპედს მოტორი გაუკეთეს და ახლა ორი იმოდენა სისწრაფე აქვს. მოტორიანი ნავი კი... 80 კილომეტრს გადის საათში.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ალბათ გახსოვთ გემი წყალქვეშა ფრთებით. — დიახ, ეს სწორედ იმ ტიპის მოტორიანი ნავია, რომლის შესახებაც ჩვენ გვქონდა გასულ წელს საუბარი. ასეთი ნავები ახლა ბევრი დადის მოსკოვ— ვოლგის არხზე და, ალბათ, მალე თბილისის ზღვაზეც იხილავთ მათ.

და ასე დაუსრულებლად, პავილიონიდან პავილიონში. ხედავ საბჭოთა ადამიანის მიერ შექმნილ სასწაულებს და გჯერა, რომ მალე ეს სასწაულებიც მოძველდება და აღარავის გააკვირვებს. მათ ნაცვლად ახალი საოცრებებით გაივსება დარბაზები.



→ ეს ფრთიანი გემი მაყურებელთა საერთო ინტერესს იწვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლედ ყველაფერზე

## კანდელაბრის ხე

ეს 1935 წელს, იტალია-აბისინიის ომის დროს მოხდა. ფაშისტ მეომართა ათასეული გზას იკაფავდა გაუვალ მთებში. ირგვლივ ყველაფერი დაბალი აკაციის მსგავსი ხეებით იყო დაფარული. ჯარისკაცებმა ხანჯლები აამუშავეს. ორლესულის პირი ადვილად ერეოდა მწვანე ტოტებს. ტოტები უდრტვინველად ეფინებოდნენ ძირს, გადანაჭრებიდან კი რაღაც მოთეთრო სითხე გადმოსდიოდათ. ათასეული დანიშნულების ადგილზე დროზე მივიდა. მაგრამ იმ ღამესვე ჯარისკაცები თავის ტკივილმა და თვალების წვამ შეაწუხა, დილით კი სამასმა ადამიანმა შუქი ვეღარ იხილა—რაღაც საშინელმა ავადმყოფობამ ყველა დააბრმავა.



სამედიცინო კომისიამ დაასკვნა, რომ ჯარისკაცები მოწამლული იყვნენ კანდელაბრის ხის შხამიანი წვენით. როგორც ჩანდა, წვენი აორთქლებულა და შხამი ჰაერის საშუალებით მოხვედრილა თვალებში.

## 20 წელიწადი წვიმის გარეშე

შორეული აფრიკის ერთ ნაწილში, რომელსაც უალი-ხალიფაში ეწოდება, მეცნიერული შემოწმებითა და გამოანგარიშებით, უკვე ოცი წელიწადი გავიდა, რაც წვიმა არ მოსულა, ამიტომაც ეს ადგილი მთელი დედამიწის ყველა ნაწილთან შედარებით მცირე ნალექებით გამოირჩევა.

## ფეთქებადი სოკო

სამხრეთ ამერიკაში, ტროპიკული ტყეების ზონაში, ხარობს განსაკუთრებული ჯიშის სოკო, რომელიც ყოველთვის მომწვანო ფერს ინარჩუნებს. არც თუ ისე იშვიათად, ამ სოკოს წონა 5—6 კილოგრამამდე აღწევს. ეს სოკო იმით გამოირჩევა, რომ ფეთქადობის უნარი აქვს გამომუშავებული. თუ ადამიანმა, ან რომელიმე ცხოველმა როდისმე ამ სოკოს ფეხი დაადგა, მაშინვე ფეთქდება და მის «შემწუხებელს» უსიამოვნებას აყენებს, შავ კვამლს გამოუშვებს, რომელიც იწვევს ცრემლის დენას, ხველებას და ცხვირის ცემინებას.

ადგილობრივი, ძველი მკვიდრი ტომები ამ სოკოს იყენებდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ისინი მათ ამ სოკოებს ესროდნენ და ამით მტერს საგრძნობ უსიამოვნებას აყენებდნენ.

## მზე—ველურთა წარმოდგენით

ინგლისელი მეცნიერები მე-19 საუკუნის მიწურულში, მზის დაბნელებასთან დაკავშირებით, წყნარი ოკეანის კუნძულებზე მეცნიერული დაკვირვებისათვის ჩავიდნენ. კუნძულის მცხოვრებნი მეცნიერებს მტრულად დახვდნენ. წინ წამოდგა მათი ბელადი და მეცნიერებს მიმართა: «ჩვენ კარგად ვიცით თუ რად მოხვედით ჩვენთან. თქვენ გინდათ მოგვპაროთ მზე და თქვენს დედოფალს მიართვათ, რომელსაც მზე არა აქვს».

მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ამაზე მოხერხებულად და გონებამახვილურად უპასუხა: «პირიქით, ჩვენ სწორედ იმისათვის მოვედით, რომ თქვენი მზე გავწმინდოთ და გავფეროთ, რომ ისევ ისე ანათებდეს, როგორც აქამდე ანათებდა. ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენს მზეს მრავალი ლაქა დასდებია».

როცა მზის დაბნელებამ გაიარა, კუნძულის მცხოვრებლებმა მეცნიერებს დიდი წვეულება და ლხინი გაუმართეს.

## თევზი—მთვარე

ბუნებაში არის თევზის ერთი სახეობა, რომელსაც სახელად «მთვარე» ეწოდება; ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ იგი თავისი მრგვალი ფორმით მთვარეს მოგვაგონებთ.

მთვარე ოკეანეებში ცხოვრობს. როგორც წესი, ეს თევზი სანაპიროებისაკენ არ გამოდის. მაგრამ აი, საკვირველება! ავსტრალიის ერთი ქალაქის მახლობლად, პლაჟზე, მთვარე—თევზი მოულოდნელად აღმოჩნდა. ამ მომენტში დაიწყო ზღვის უკუქცევა. იმის გამო, რომ ზღვის ტალღა, ეტყობა, ვეღარ მოერია «მთვარეს», იგი ქვიშაზე დარჩა. ეს თევზი 600 კილოგრამზე მეტს იწონიდა. დაახლოებით სამ საათს ეგდო ქვიშაზე «მთვარე». მალე მობანავეები მოგროვდნენ და შეეცადნენ ზღვაში მის გადაგდებას. ბოლოს ათმა კაცმა თოკებით ძლივს მოახერხა თევზის მითრევა და ზღვაში ჩაშვება.

ამგვარად, თევზი—მთვარე უეჭველ სიკვდილს გადაარჩინეს.

## პეპლები ზღვაში

იტალიის სამგზავრო გემი ნეაპოლიდან ალექსანდრიაში მიემგზავრებოდა. სექტემბრის უკანასკნელი დღეები იდგა.

მორიგე მეზღვაური დიდი საზღვაო დურბინდით გარემოს ათვალიერებდა. უცებ, მისი ყურადღება ნაცრისფერმა ღრუბელმა მიიპყრო, რომელიც გემის წინ იწყებოდა და თითქმის ჰორიზონტამდე იყო გაჭიმული.

ღრუბელი საოცრად ქანაობდა აქეთ-იქეთ, ხან მაღლა აიწევდა, ხან დაბლა.

«ფრინველები?—არა, ფრინველებს არ ჰგვანან».—გაიფიქრა მეზღვაურმა და კიდევ უფრო დააკვირდა უცნაურ ღრუბელს. მალე გამოცანა ახსნილი იქნა: შორს, ზღვაში, ნაპირიდან ასეულობით კილომეტრზე, სადღაც სამხრეთისაკენ მიფრინავდა პეპლების მთელი არმია. შორი მოგზაურობით დაქანცულ პეპლებს, როგორც ჩანს, ძალზე ესიამოვნათ გემის გამოჩენა. ასობით პეპელა შემოეტმასნა ირგვლივ გემს. საოკეანო ხომალდი ჭრელ ბურთს დაემსგავსა.

პეპლების შორ მანძილზე გადაფრენა არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა. მაგალითად, 1950 წელს პეპლების ქარავანი ნაპირიდან ათასი კილომეტრით დაშორებით, ატლანტის ოკეანეში ნახეს, სადაც მწერები ძლიერ ქარს შეყოლოდნენ.



ამერიკაში, მაგალითად, ყოველწლიურად ორჯერ, კონტინენტიდან ჰავაის კუნძულებზე გადი-გამოდის პეპლების ერთი ჯიში, რომელსაც მონარქი ეწოდება.

# იუმორი

* *

მარენკა, უთხრა ბებიამ შვილიშვილს, იყავი წყნარი, ჭკვიანი, თორემ, ხომ გახსოვს წითელქუდას თავგადასავალი, - დაუკვირვებლად მოიქცა და მგელმა შეჭამა.

-- მახსოვს. როგორ არა, მაგრამ მან ხომ პირველად ბებია გადაყლაპა!

—

— მასწავლებელმა დაფაზე „25 კმ.“ დაწერა და თქვა:

-- ბავშვებო, როგორ გადავიყვანოთ ეს რიცხვი მეტრებში?

ვაცლავმა. რომელიც ხშირად კითხვებს ვერ პასუხობდა, თითი ასწია.

— ოჰო, აბა გვიპასუხე, ვაცლავ.

- მოვაშოროთ ასო „კ“, პატივცემულო მასწავლებელო...

—

- ნოვაკ, მიპასუხე, რომელი სითხეა გაუყინავი?

-- ცხელი ჩაი, მასწავლებელო...



კარლიჩეკ. მოდი. რამე ვითამაშოთ.

— დიდი სიამოვნებით. მაგრამ რომელი თამაში?

მხეცობანა. მე მაიმუნი ვიქნები. შენ კი, ის თხილი მაჭამე, ბებიამ რომ მოგცა...

—

— გუშინ ერთი მოსწავლე სახლში დავაბრუნე იმიტომ, რომ სკოლაში პირდაუბანელი გამოცხადდა.

— დღეს?

— დღეს მთელი კლასი პირდაუბანელი მოვიდა...

—

— რატომაა, რომ სურათებში ყველა ზანგი ბავშვი იცინის?

— რატომ? იმიტომ, რომ მათ დედები ვერ დატუქსავენ, შავი ხელები რატომ გაქვთო.

ჩეხურიდან თარგმნა

**ალ. კაკულიამ**

* * *

დედა: - თუ მე კარტოფილს გავყოფ ორ ნაწილად. შემდეგ ოთხად და შემდეგ თითოეულ ამ ოთხთაგანს კიდევ გავყოფ ორად, რას მივიღებ?

პატარა ემილი: კარტოფილის სალათას.

პატარა გოგონა წერას სწავლობდა. მასწავლებელმა ნახა მისი ნაწერი და ჰკითხა: -კი მაგრამ. სად არის წერტილი?

— ის ჯერ კიდევ ფანქარშია. უპასუხა ბავშვმა.

—

მასწავლებელმა შეამოწმა ტედის საშინაო დავალება და თქვა: - ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ამდენი შეცდომა ერთი ადამიანისა იყოს.

ტედიმ ამაყად უპასუხა: - ეს შეცდომები მარტო ერთისა არც არის. პატივცემულო მასწავლებელო.

— შენ მარტოკა ვერ შეხვალ იმ ბნელ ოთახში. ტომ.

— ვერ შევალ?! -აბა, ერთი წამომყევი და ნახე!

პატარა ბიჭუნა სეირნობიდან დაბრუნდა. მან დედასთან მიირბინა და უთხრა: - დედიკო. დედიკო. იცი. მე ვნახე კაცი. რომელიც ცხენებს აკეთებს.

— მართლა? - შეეკითხა დედა.

— ჰო. - უპასუხა ბავშვმა, - მას ის-ის იყო დაემთავრებინა ერთი ცხენი და მხოლოდ ნალებს-ღა აჭედებდა.

ინგლისურიდან თარგმნა

**მ. ოქროპირიძემ**

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина. № 12. 1959. Тбилиси пр. Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

უე 01696. ტირ. 12.800. ფორმათა რაოდ. $4^{1}/_{2}$. ხელმოწერ. დასაბ. 27 XI-59 წ. სტამბის შეკვ. № 1386 გამომც. შეკვ. № 560. საქ. კპ ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი“

# როგორ გაჰყონ

სამ ძმასა ჰყავს თხების ფარა
ოცდაათი თავი.
უხეირო რამ კი არა.
კარგი სანახავი.
ათს სამ-სამი თიკანი ჰყავს.
ათს ორ-ორი წყვილად.
ათსსაც თითო. საძოვარზე
ბალახობენ ტკბილად.
ერთ დღეს ძმებმა გადაწყვიტეს
ჯოგი გაჰყონ ძმურად.
რომ არ დარჩნენ ერთმანეთზე
ნაწყენ-უმადურად.
თქვეს: თითო ძმას ტოლად გვერგოს
თიკნები და თხები.
როგორ გაჰყონ? მეგობრებო,
ამას გეკითხებით.
ოღონდ ერთიც: დედისაგან
ნუ მოვწყვეტავთ თიკნებს.—
კარგად იცით, დედა-შვილნი
ერთად უნდა იყვნენ.

**ნ. კლდიაშვილი**

## ენის გასატეხი

ამ ხუმარას ხურმის ხეზე,
რა ეხურმახუმრებოდა.

გაუქალაქებელი გასაქალაქებელი გაქალაქებულა.

ბიჭილამ უთხრა ჭიჭილას. —
ჭამე ჭერამი ჭირიმე.

**ვ. კახაძე**

## შარადა

ზამთრის პირას ჰავა
როგორია ხოლმე?
შარადისთვის გვინდა,
კარგად დაიხსომე.
ჩაუმატე ბგერა
მარცვლებშუა სიტყვას.
ცხოველია იგი,
რომელია, მითხარ!

**შ. ამირანაშვილი**

## პასუხები

### ჟურნალ „პიონერის" № 11-ში მოთავსებულ გასართობზე

**გეოგრაფიული ჩაინვორდი-კროსვორდი**

1. ჩერაპუნჯა: 2. აქსუ: 3. უგანდა: 4. ამაზონი: 5. ინილჩეკი: 6. იავა: 7. აიაჩო: 8. ონეგა: 9. აბორიგენი: 10. ია: 11. აზია: 12. ალტაი: 13. იამალი: 14. ინდიგირკა: 15. ასუნსონი: 16. ოორი: 17. იუნგფრაუ.

**გამოცანები:**

1. ჩაქუჩი: 2. ბირდაბირი.

**შარადა:** რებუსი

**თავსატეხი**



## ახალი წიგნები

ბევრი, მშვენივრად დასურათებული ახალი წიგნი შეემატა თქვენი წიგნების თაროს. აი, რა წიგნები მოგაწოდათ ამ წლის დასასრულს გამომცემლობა „საბლიტგამმა": იოსებ გრიშაშვილის ლექსების წიგნი— „ბაბაჯანას ქოშები", რაფიელ ერისთავის „ჯერ შრომა, მერე ხტომა"; ა. შახოვის „საშიში ხეობა" და ო. დგებუაძის „ჩაძირული თოლია" სათავგადასავლო ამბებით გაგიტაცებთ. უფრო პატარები ნინო ბეჟარაშვილის ზღაპრების წიგნს—„ნიას და ლიას" გადაშლით, უფროსები კი ინგლისელი მწერლის, ჩარლზ დიკენსის „დავით კოპერფილდით" მოიხიბლებით.






